პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი | № 259 (10035) | კვირა, 31 ოქტომბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

გაუმარჯოს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ურღვევ კავშირს — საბჭოთა წყობილების ურყევ საფუძველს!

გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმურ მეგობრობას, რომელიც ერთიანი სოციალისტური სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების წყაროა!

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან).

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

ამა წლის 29-30 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საკითხი „იდეოლოგიური მუშაობის მდგომარეობისა და საქართველოს კომპარტიის ამოცანების შესახებ“.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ.

განხილული საკითხის გამო პლენუმმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

ხალხთა მეგობრობის დიადი ძალა

საბჭოთა ქვეყნის ყველა კუთხიდან მოდის ამბები მშრომელთა ახალ-ახალ წარმატებებზე სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. მილიონობით საბჭოთა ადამიანი თავდადებით იბრძვის იმისათვის, რომ განახორციელოს ამოცანები, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს მძიმე ინდუსტრიის შემდგომი განვითარებისათვის, სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების, მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისა და ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავის აღსანიშნავად შახტებში, ქარხნებში, ფაბრიკებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება. სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები დიდ დღესასწაულს ეგებებიან გეგმების ვადამდე შესრულებით, შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებით, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები პატაკს იძლევიან, რომ წარმატებით დაამთავრეს მოსავლის აღება და ვადამდე შესრულეს პურისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმა. ფართოვდება სსრ კავშირის აღმოსავლეთში უამრი და ნასვენი მიწების ათვისების სამუშაოები. დიადი ოქტომბრის დღესასწაულს დიდი შემოქმედებითი აღმავლობით ეგებებიან საბჭოთა კულტურის, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მუშაკები.

საბჭოთა ხალხის მრავალფეროვან შემოქმედებითს შრომაში ყველაზე შესანიშნავია ჩვენი დიადი სამშობლოს თვალწუწდენ სივრცეებზე მოსახლე ყველა ერისა და ეროვნების ძმური ურთიერთდახმარება. ხალხთა მეგობრობა ყველა საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელთა შემოქმედებითი ძალებისა და ენერგიის ეფექტურად დაუშრეტელი წყაროა კომუნიზმის მშენებლობაში. ეს მეგობრობა გამოიკვეთა კომენისტური პარტიის ხელმძღვანელობით თავისუფალი, სოციალისტური ცხოვრებისათვის მუშათა კლასისა და გლეხობის მრავალი წლის გმირულ ბრძოლაში.

დაამსხვრია რა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ბორკილი, დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაამტკიცა, რომ შესაძლებელი და მიზანშეწონილია სულ სხვადასხვა ეროვნების ხალხთა და გლეხთა ძმური კავშირი, ნებაყოფლობისა და ინტერნაციონალიზმის საწყისებზე დამყარებული. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ პირველსავე დღეებში საბჭოთა მთავრობამ გამოაცხადა თავისი ეროვნული პოლიტიკის დიადი და ურყევი პრინციპები: რუსეთის ხალხთა თანასწორობა და სუვერენობა, ყველა ხალხის თავისუფალი თვითგამორკვევის უფლება, თვითგამოყოფამდე და დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნამდე, ყველა და ყოველგვარი ეროვნული პრივილეგიისა და შეზღუდვის გაუქმება.

ამ პრინციპების თანმიმდევრულ განხორციელებას მოჰყვა შექმნა და განმტკიცება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიადი კავშირისა, რომელიც წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთა, როგორც დიდი, ისე პატარა ხალხების, ურთიერთდამბადა და მეგობრობაზე დამყარებული მრავალეროვანი სახელმწიფოს ნიმუშს. საბჭოთა წყობილების პირობებში ჩამოყალიბდნენ და განვითარდნენ ახალი, სოციალისტური ერები, რომლებიც ძირეულად განსხვავდებიან ძველი, ბურჟუაზიული ერებისაგან როგორც კლასობრივი შემადგენლობით, ისე სოციალურ-პოლიტიკური და სულიერი ინტერესებითა და მისწრაფებებით. სოციალისტური ერების შემადგენლობაში არ არიან ექსპლოატატორული კლასები, რომლებიც ერებს შორის მტრობის მთავარი ორგანიზატორები არიან. სოციალისტური ერების ხელმძღვანელი ძალაა მუშათა კლასი — ინტერნაციონალიზმის იდეების ნამდვილი მატარებელი. ისინი ემყარებიან მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ურღვევ კავშირს, საბჭოთა საზოგადოების ყველა სოციალური ჯგუფის მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას. სოციალისტურ ერებს აერთიანებს საბჭოთა წყობილების განმტკიცებისა და განვითარებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის საერთო საქმე.

ჩვენ საბჭოთა სინამდვილე მთელი ძალით ადასტურებს დიდი ლენინის განჭვრეტას, რომელმაც აღნიშნა, რომ სოციალიზმი, აწყობს რა წარმოებას, სადაც არ არის კლასობრივი ჩაგვრა, უზრუნველყოფს რა სახელმწიფოს ყველა წევრის კეთილდღეობას, ამით გიგანტურად აჩქარებს ერების დაახლოებას. სწორედ სოციალიზმის ბაზაზე მოეწყო სსრ კავშირის ხალხთა ნამდვილი ძმური თანამშრომლობა ერთიანი შეკავშირებული სახელმწიფოს სისტემაში.

ხალხთა მეგობრობის დიადი პროგრესული ძალის ერთერთი ყველაზე მკაფიო მაჩვენებელი ის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია, რომ რუსეთის განაპირა ეროვნული კუთხეების ბევრი ხალხი, რომლებიც წარსულში ჩამორჩენილი იყვნენ, რუსი ხალხისა და სხვა ხალხების ყოველმხრივ დახმარებაზე დაყრდნობით განვითარდნენ მოწინავე სოციალისტურ ერებად, კაპიტალისტური განვითარების სტადიის გაუვლელად, გიგანტური ნახტომი გააკეთეს მეურნეობის პატრიარქალური და ფეოდალური ფორმებიდან სოციალიზმისაკენ. ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში შექმნილია მსხვილი სოციალისტური მრეწველობა, დამკვიდრდა საკოლმეურნეო წყობილება, გაიზარდნენ მუშათა კლასისა და ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი ეროვნული კადრები. ეკონომიკის მძლავრი აღმავლობის ბაზაზე განუხრელად უმჯობესდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა. ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში შექმნილია ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური ახალი კულტურა.

საბჭოთა კავშირის ხალხები ერთიან ძმურ ოჯახად შრომობენ თავიანთი სამშობლოს საკეთილდღეოდ. კომუნისტური პარტია საბჭოთა ადამიანების შეზოქმედებითს ღონისძიებებს ახმარს მეხუთე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლას, სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების საფუძვლისათვის — შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის ბრძოლას.

პარტია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს მოწინავე გამოცდილების პროპაგანდასა და გავრცელებას, ცდილობს, რომ კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე სულ უფრო მეტად ხორციელდებოდეს მაგალითის აღება ჩვენი საზოგადოების მოწინავე მშრომელებისაგან. საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელებს შორის გამოცდილების ყოველმხრივი და ფართო გაცვლა ხელს უწყობს სოციალისტური ერების თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების საქმეს.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის მუშაკთა მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის საქმეში განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილია ყველა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკა, მხარე და ოლქი. სასოფლო-სამეურნეო გამოფენა განასახიერებს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობას, რომელნიც მედგრად იბრძვიან სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისა და ჩვენს ქვეყანაში სურსათის სიუხვის შექმნისათვის.

სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა ურღვევია, იგი განმტკიცებულია სისხლით, რომელიც ამ ხალხთა საუკეთესო შვილებმა დაღვარეს საბჭოთა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში. ეს მეგობრობა მტკიცდება სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დიადი ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის ბრძოლაში.

ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის იდეოლოგიის დიდი კეთილმყოფი გავლენა მეღვივდება აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანასთან სსრ კავშირის ძმური მეგობრული ურთიერთობით. სოციალისტური ბანაკის ხალხთა და სახელმწიფოთა შორის დამყარდა მეგობრობა, კავშირი და ურთიერთდახმარება, რომელსაც საფუძვლად უდგია სრული თანასწორუფლებიანობა, ეროვნული ინტერესების ურთიერთპატივისცემა, გულწრფელი სურვილი დაეხმარონ ერთმანეთს და მიაღწიონ საერთო აღმავლობას.

— გაუმარჯოს და განმტკიცდეს სახალხო-დემოკრატიული ქვეყნებისა და საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობა და თანამშრომლობა!

საბჭოთა ადამიანები ძმურ სალამს უთვლიან სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებს, რომლებიც იბრძვიან სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, ხალხთა კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის, სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის.

საბჭოთა ხალხი მხურვალედ მიესალმება დიდ ჩინელ ხალხს, რომელიც წარმატებით იბრძვის ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობისათვის, ჩინეთის ინდუსტრიალიზაციისათვის, სოციალიზმის საფუძვლების აშენებისათვის.

— გაუმარჯოს და აყვავდეს საბჭოთა და ჩინელი ხალხების ურღვევი მეგობრობა და თანამშრომლობა — მთელი მსოფლიოს მშვიდობის მძლავრი ფაქტორი!

საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის ხალხებს აერთიანებს სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის ბრძოლის საერთო მიზნები, ხალხთა მშვიდობისათვის ბრძოლის საერთო ამოცანები. სოციალისტური ბანაკის ხალხთა ძმური თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ახალი მკაფიო გამოვლინებაა ამას წინათ გამოქვეყნებული კომუნიკე საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მოლაპარაკების შესახებ და საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა ერთობლივი დეკლარაციები ეკონომიკისა და პოლიტიკის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხების შესახებ.

იცხოვრონ ყველა ხალხთან მშვიდობიანად და მეგობრულად — ასეთია სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყნის ხალხთა მთავარი საზრუნავი და მხურვალე სურვილი. თანმიმდევრულად ახორციელებენ რა მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, ეს ქვეყნები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა მიაღწიონ საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელებას, ხანგრძლივი და მტკიცე მშვიდობის დამყარებას.

საბჭოთა საზოგადოების შთამაგონებელი და მაორგანიზებელი ძალა — კომუნისტური პარტია ყოველი ღონისძიებით განავითარებს და განამტკიცებს სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას.

— გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმურ მეგობრობას — მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების წყაროს!

„პრავდის“ 30-X მოწინავე.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია

მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია, რომელიც ჩინეთში იმყოფებოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების მეხუთე წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით. ამხანაგები გ. თ. ალექსანდროკი, დ. ტ. შეპილოვი, ე. ა. ფურცევა, ი. ს. ნასრიდინოვა და ვ. პ. სტეპანოვი მოსკოვს ჩამოვიდნენ 15 ოქტომბერს. ამხ. ნ. მ. შვერნიკი მოსკოვს დაბრუნდა 16 ოქტომბერს.

ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, ნ. ა. ბულგანინმა და ა. ი. მიქოიანმა გზად მოსკოვისაკენ ინახულეს პორტ-არტური და ქალაქი დალნი, სადაც მოისმინეს სამხედრო სარდლობის ცნობები და აზრი გაუზიარეს ჩინეთის პორტ-არტურის ერთობლივ სარგებლობაში მყოფი სამხედრო-საზღვაო ბაზიდან საბჭოთა სამხედრო ნაწილების გამოყვანისათვის მზადების შესახებ. ისინი იყვნენ ხომალდებზე, დაათვალიერეს ბრძოლების ისტორიული ადგილები. პორტ-არტურში მათ გვირგვინებით შეამკეს იმ რუსი მეომრების საფლავები, რომლებიც მამაცთა სიკვდილით დაეცნენ 1904 წელს, და იმ საბჭოთა მეომრების საფლავები, რომლებიც იმპერიალისტური იაპონიის წინააღმდეგ განმათავისუფლებელ ომში დაიღუპნენ 1945 წელს. საბჭოთა მთავრობის დელეგაციის ხელმძღვანელები დაესწრნენ მხატვრული თვითმოქმედების კონცერტს, რომელიც პორტ-არტურისა და ქალაქ დალნის გარნიზონმა და სამხედრო მეზღვაურებმა მოაწყეს.

ქალაქ ანშანში ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ა. ბულგანინი და ა. ი. მიქოიანი იყვნენ ანშანის მეტალურგიულ კომბინატში, დაათვალიერეს მექანიკური, რელსსაგლინავი, მილსაგლინავი და კომბინატის სხვა საამქროები.

საბჭოთა მთავრობის დელეგაციის ხელმძღვანელები იყვნენ აგრეთვე ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის დიდ სამრეწველო ცენტრებში, ქალაქებში შუკდენში, ჩანჩუნსა და ხარბინში. ჩანჩუნში მათ დაათვალიერეს საავტომობილო ქარხნის მშენებლობა, ესაუბრნენ მშენებლებს, რომლებიც გულთბილად მიესალმნენ ამხანაგებს ნ. ს. ხრუშჩოვს, ნ. ა. ბულგანინს და ა. ი. მიქოიანს.

ხარბინში საბჭოთა მთავრობის დელეგაციის ხელმძღვანელებმა ინახულეს სელსართავი ფაბრიკა და საინსტრუმენტო ქარხანა, ესაუბრნენ მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს.

17 ოქტომბერს ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ა. ბულგანინი და ა. ი. მიქოიანი ჩამოვიდნენ ვლადივოსტოკს, სადაც სამი დღის განმავლობაში ეცნობოდნენ ქალაქის ცხოვრებას, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობას, ჯარების ცხოვრებასა და ყოფას, აგრეთვე იყვნენ წყნარი ოკეანის სამხედრო ფლოტის ხომალდებზე. კრეისერ „კალინინით“ ისინი გავიდნენ ნავსადგურ ნახოდკაში, დაესწრნენ ფლოტის საბრძოლო ხომალდების ვარჯიშს, ინახულეს კუნძული რუსკი. 18 ოქტომბერს მათ მოაწყეს ზღვისპირეთის მხარის თევზის მრეწველობის მუშაკთა თათბირი, რომელზეც განხილულ იქნა თევზის მრეწველობის მუშაობის გაუმჯობესების საკითხები.

20 ოქტომბერს ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი და ნ. ა. ბულგანინი ჩავიდნენ ქალაქ კომსომოლსკს, სადაც გაეცნენ მთელი რიგი სამრეწველო საწარმოების მუშაობას, მოისმინეს ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ცნობები კომსომოლსკის მრეწველობის შემდგომი განვითარების საკითხებზე. მათ ინახულეს აგრეთვე ქალაქი სოვეტსკაია გავანი, დაათვალიერეს ნავსადგური, იყვნენ ფლოტის სამხედრო ხომალდებზე.

ირკუტსკში ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ა. ბულგანინი და ა. ი. მიქოიანი გაეცნენ ანგარის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას, აგრეთვე ქალაქის სამრეწველო საწარმოთა მუშაობას.

29 ოქტომბერს ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ა. ბულგანინი და ა. ი. მიქოიანი ჩამოვიდნენ ქალაქ სვერდლოვსკს. აქ ისინი გაეცნენ პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობას, ვაჭრობის მდგომარეობას. მათ ინახულეს ურალის მანქანათმშენებელი ქარხანა და გაეცნენ მის მუშაობას.

ამხანაგების ხრუშჩოვის, ბულგანინისა და მიქოიანის შეხვედრა შორეული აღმოსავლეთისა და ციმბირის ქალაქებისა და სოფლების მშრომელებთან მიმდინარეობდა დიდი გულთბილობისა და გულითადობის ვითარებაში.

30 ოქტომბერს ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ა. ბულგანინი და ა. ი. მიქოიანი მოსკოვს ჩამოვიდნენ. (საკდესი).

ჯიბაანის მტს-მა საშემოდგომო ხორბლის თესვის გეგმა შეასრულა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავს ახალი საჩუქრით ხვდება ტიბაანის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კოლექტივი. მანქანის სრული დატვირთვით გამოყენების შედეგად მტს-მა საშემოდგომო ხორბალი დათესა 5.518 ჰექტარი, გეგმა კი 5.300 ჰექტარს ითვალისწინებდა.

წელს მტს-ში კარგად გამოიყენეს თესვის ახალი პროგრესული წესი. ჯვარედინად და ვიწრომწკრივებად დათესეს 5.341 ჰექტარი.



სურათზე: 1. ლაგოდეხის მტს-ის მთავარი აგრონომი ამხ. ა. შავლაყაძე სამუშაოზე გასვლის წინ მექანიზატორებს აცნობს ტ. მალცევის მეთოდით ხვნის წესს. 2. ავრანლოს მტს-ის მთავარი აგრონომი ვ. ახვლედიანი, სოფელ ყიზილქილისის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე ა. თეონიანი და ავრანლოს მტს-ის დირექტორი პ. კალანდარიშვილი ამოწმებენ მალცევის მეთოდით ხვნის ხარისხს.

ფოტო რ. მორჩილაძისა და ვ. გინზბურგისა.

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

მეტი საშენი მასალები ახალმშენებლობებს

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის საშენ მასალათა საწარმოები საოქტომბრო შეჯიბრების პერიოდში კიდევ უფრო აძლიერებენ მუშაობას, ახალმშენებლობათა კოლექტივები შეუფერხებლად იღებენ საშენ მასალებს.

აგურის ქარხნის კოლექტივმა, რომელიც დიადი თარიღის შესახვედრად სამტრედიელ მეაგურეებს ეჯიბრება, ოქტომბერში ახალ გამარჯვებას მიაღწია. მან ოც დღეში შეასრულა მთელი თვის გეგმა და დამატებით გამოუშვა 200 ათას ცალზე მეტი აგური.

აღმავლობით აღინიშნება შეჯიბრების დღეები საშენ მასალათა საწარმოში. 110 პროცენტით შეასრულეს ოქტომბრის ორი დეკადის გეგმა და მშენებლობებს მიაწოდეს მაღალხარისხოვანი კრამიტი, კირი, აგური, მოზაიკის საფეხურები. საწარმომ ახლახან ათვისა და წარმატებით უშვებს საკანალიზაციო მილებს.

სადღესასწაულოდ ნაკისრი ვალდებულებებს მაღალი მაჩვენებლებით ასრულებს აგრეთვე კირის ქარხნის კოლექტივი, რომელმაც 9 თვის გეგმა 109 პროცენტით შეასრულა და დამატებით გამოუშვა 136 ტონა კირი.

მარმარილო შენოგათა მოსაპირკეთებლად

ბიათურა. (საკ. კორ.). სალიეთის წითელი მარმარილო ძვირფასი საშენი მასალაა. იგი იგზავნება მოსკოვის, ლენინგრადის, რიგის, ვარშავის და მთელ რიგ სხვა დიდ მშენებლობებზე.

წელს მარმარილოს მოპოვების დავალება 40 პროცენტით გაიზარდა. სალიეთელებმა მესამე კვარტალის დავალება 119 პროცენტით შეასრულეს, სექტემბრისა — 140 პროცენტით, ასევე განაგრძობენ მუშაობას ოქტომბერში, სისტემატურად ზრდიან შრომის ნაყოფიერებას, აამაღლებენ პროდუქციის თვითღირებულებას.

სალიეთის მარმარილოს კარიერის კოლექტივი მეტი პროდუქციის მოპოვებაში ეჯიბრება მესტიის მარმარილოს კარიერის მუშაკებს. წინ მიდიან სალიეთელები. თავდადებული შრომით გამოირჩევიან პავლე და შოთა მოდებაძის ბრიგადები, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან და გეგმებს 150-180 პროცენტით ასრულებენ. მ. მოდებაძის ბრიგადამ ერთ თვეში 28 კუბმეტრი მარმარილო დაამზადა და გეგმა 190 პროცენტით შეასრულა. თავი ისახელეს მარმარილოს მთლელებმა შ. ჭუმბურიძემ, პ. კაპანაძემ, დ. მოდებაძემ და მექანიზატორმა გ. მოდებაძემ.

450 ათასი მანეთი სამშობლოს

მახარაძე. (საკ. კორ.). დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავს ახალი საწარმოო მაჩვენებლებით ხვდება ბახვის ჩაის ფაბრიკის კოლექტივი (დირექტორი ამხ. გ. გოგუაძე, მთავარი ტექნოლოგი ამხ. ვ. კოვზირიძე). ნაკისრი ვალდებულებით სეზონის დაწყებიდან 1 ნოემბრამდე უნდა გამოეშვათ 482,1 ტონა ჩაის მზა პროდუქცია. ტექნოლოგიური პროცესების ზუსტად დაცვის შედეგად ვალდებულება ვადაზე 10 დღით ადრე გადაჭარბებით გაანაღდეს, გამოუშვეს 491,8 ტონა ჩაი.

დიდი გადაჭარბებით შეასრულეს უმაღლესი და პირველი ხარისხის ჩაის გამოშვების გეგმა. პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 5,4 პროცენტით. ფაბრიკამ 450 ათასი მანეთი მისცა სამშობლოს.

საოქტომბრო შეჯიბრებაში თავი ისახელეს იმ ბრიგადებმა, რომლებსაც ი. ნაჭყებია, ე. გიორგაძე და ლ. დოლიძე ხელმძღვანელობენ, აგრეთვე მოწინავე მუშებმა ვ. ბონდარევამ, ვ. სივჩინსკიმ, ნ. კრავჩუკმა, ა. ცხომელიძემ, ა. სვანიძემ.

ხალიჩები გეგმის გადამეტებით

ცხინვალი. (საკ. კორ.). ხალიჩების საქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა, რომელიც ჩაბმულია საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში, საერთო პროდუქციის გამოშვების 9 თვის გეგმა 101,1 პროცენტით შეასრულა და 1.373 კილოგრამი ნართი დაზოგა. მარტო დაზოგილი ნართით ფეიერქრებმა დაახლოებით 700 კვადრატული მეტრი ხალიჩა მოქსოვეს. ამასთან შარშანდელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გადიდებულია 12 პროცენტით, საგრძნობლად გაიზარდა პირველი ხარისხის ქსოვილის გამოშვება.

მეხალიჩეებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი წლიური საწარმოო დავალება 20 დეკემბრისათვის შეასრულონ. ამჟამად მათი ვალდებულებაა 7 ნოემბრისათვის გეგმის გადამეტებით 2.000 კვადრატული მეტრი ხალიჩა მოქსოვონ.

რეჰანის დიდი მოსავალი

თელავი. (საკ. კორ.). კოლმეურნეობებმა წელს რეჰანის მოსავლიანობის გეგმა 296 პროცენტით შეასრულა, სანიორის კოლმეურნეობა „პირველმა მაისმა“ — 230 პროცენტით. ყარაჯალის კოლმეურნეობამ პრემიანწამატის ანგარიშში 66.000 მანეთზე მეტი მიიღო.

ტ. მალცევის მეთოდით

წალკა (სპეც. კორ.). კოლმეურნეები და მექანიზატორები გულდასმით სწავლობენ კურგანის ოლქის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მეინდვრის სტალინური პრემიის ლაურეატის ტ. მალცევის მიერ შემუშავებულ ნიადაგის დამუშავებისა და თესვის ახალ მეთოდს.

ავრანლოს ნანქანა-ტრაქტორთა სადგურის კოლექტივი შეუდგა მუშაობას ამ მეთოდის პრაქტიკულად დანერგვისათვის. ტრაქტორისტმა ს. გულიკიანმა სოფელ ყიზილქილისის კოლმეურნეობაში უწინასახნისო და უფრთო გუთნით ნელტის გადმოუბრუნებლად 40-50 სანტიმეტრის სიღრმეზე მოხნა 15 ჰექტარი.

სამი ან ოთხი წლის განმავლობაში ასეთი მოხვნის შემდეგ მარცვლეული და სხვა ერთწლიანი კულტურების, პარკოსანი და ზეთოვანი კულტურების თესვა ხდება ნაწვერალზე, რომელიც დამუშავებულია დისკოიანი საოშავებით მოუხვნელად.

წელს სოფლების ჯინისის, აშკალას, დარაქოის, ავრანლოს კოლმეურნეობებში ტ. მალცევის მეთოდით ქარტოფილის დასარგავად მოხნავენ 300 ჰექტარს. აგ სამუშაოს შესასრულებლად გამოყენებულ იქნება 10 უწინასახნისო და უფრთო გუთანი.

ეს სისტემა, — განაცხადა ავრანლოს მტს-ის დირექტორმა პ. კალანდარიშვილმა, — ამსხვრევს ძველ ტრადიციებს, რომლებსაც ემყარებოდა ნიადაგის დამუშავების სისტემა, და მოსავლიანობის გადიდების დიდ პერსპექტივას სახავს.

ანგარიშგებიდან-არჩევნებზე კომკავშირულ ორგანიზაციებში

გავაუმჯობესოთ სტუდენტთა შორის პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ათასობით ახალგაზრდა ეუფლება მეცნიერების მრავალ დარგს. აქედან ყოველწლიურად ათასზე მეტი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი იგზავნება სამუშაოდ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში. ამ ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაში, მისი შრომითი და მორალური თვისებების ჩამოყალიბებაში დიდი როლი აკისრია უნივერსიტეტის კომკავშირულ ორგანიზაციას. იგი მოვალეა სტუდენტთა შორის ფართოდ გაჩაღოს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, ყოველდღიური და ნაყოფიერი დახმარება გაუწიოს პროფესორ-მასწავლებლებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის უკეთ მოწყობაში.

ამ დღეებში გაიმართა უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაციის XIV კონფერენცია. მომხსენებელმა — კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ამხ. კ. გოგსაძემ, აგრეთვე კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ განვლილ ერთ წელიწადში კომკავშირის კომიტეტმა და ფაკულტეტების კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს სტუდენტთა აკადემიური წარმატებისა და იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის. საზოგადოებრივ მეცნიერებათა საკითხებზე მოეწყო 100-მდე საკურსო, საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო თეორიული კონფერენცია, რაც დაეხმარა ახალგაზრდობას მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრების დაუფლებაში. გაძლიერდა საშეფო მუშაობა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მჭიდრო კავშირი დაამყარეს სოფლებთან, მტს-ებსა და კოლმეურნეობებთან. ზაფხულის პერიოდში სტუდენტთა რამდენიმე ჯგუფი სამუშაოდ წავიდა გუმათჰესისა და ლაჯანურჰესის მშენებლობაზე.

მიუხედავად ამისა, როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობაში კვლავ სერიოზული ნაკლოვანებებია. დაბალ დონეზეა სტუდენტთა შორის სასწავლო-აღმზრდელობითი და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, ხშირია დისციპლინის დარღვევის, ლექციების გაცდენის შემთხვევები. მარტო სექტემბერში ისტორიის ფაკულტეტზე გაცდა 5.795, ხოლო ფილოლოგიის ფაკულტეტზე 4.572 აკადემიური საათი. შემცირდა აკადემიური წარმატების მაჩვენებელი. თუ 1952-53 სასწავლო წელს კომკავშრელთა აკადემიური წარმატება 95,2 პროცენტს შეადგენდა, ძმდევნო წლისათვის ამ მაჩვენებელმა 86,1 პროცენტამდე დაიკლო. 302-დან 570-მდე გაიზარდა იმ სტუდენტთა რიცხვი, რომლებსაც აკადემიური დავალიანება აქვთ. ეს ჩამორჩენა იმის შედეგია, რომ კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ვერ გაშალეს მუშაობა სტუდენტ ახალგაზრდობაში პასუხისმგებლობის გრძნობის ასამაღლებლად, ამასთან ნაკლები იყო მომთხოვნელობა სტუდენტებისადმი.

მოკამათეებმა მოიყვანეს სტუდენტთა მიერ საზოგადოებრივი ცხოვრების წესების დარღვევის, ხულიგნობის, ამორალური ქცევის მრავალი ფაქტი, რომლებიც ადასტურებენ, რომ უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაცია არადამაკმაყოფილებლად იბრძვის ახალგაზრდობის შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ, სათანადოდ არ ზრუნავს სტუდენტების აღსაზრდელად სოციალისტური მორალის, შრომისა და საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით. კომკავშირელმა დ. იმნაიშვილმა დათეური სამსახური გაუწია სტუდენტ მ. შარაშენიძეს, მის მაგიერ ჩაბარა სასესია გამოცდა. კურსდამთავრებულმა კომკავშირელებმა ნ. დავლიანიძემ, ნ. საპატოვამ, ა. ფარჯანაძემ, გ. დევიძემ უარი განაცხადეს სამუშაოზე წასულიყვნენ განაწილების მიხედვით. ყოფაცხოვრებითი გახრწნილებისათვის დასჯილი არიან სტუდენტი გ. ლომთათიძე და ასპირანტი თ. უთურგაიძე. სტუდენტმა ლ. ლეფსწვერიძემ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ლექტორს. საზოგადოებრივი წესრიგი დაარღვია და ხულიგნობა ჩაიდინა სტუდენტმა პ. ბერიშვილმა.

კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილემ ვ. გელეიშვილმა ჩამოთვალა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ღარგში კომიტეტის მიერ განხორციელებული ღონისძიებანი და სამართლიანად აღნიშნა, რომ ამ ღონისძიებებს სათანადო შედეგი არ გამოუღია, რადგან ზერელე და ნაკლებპრაქტიკული იყო. ლექციები და მოხსენებები ეწყობოდა განყენებულ თემებზე, სტუდენტების საჭიროების, სწავლისა და ცხოვრების მოთხოვნილებათა გაუთვალისწინებლად.

დელეგატებმა ნაკაცრად გააკრიტიკეს ნაკლოვანებანი სააგიტაციო-მასობრივ მუშაობაში. ფილოლოგიის ფაკულტეტზე თვენახევრის განმავლობაში აგიტატორებს ერთხელაც არ მოუწყვიათ საუბარი სტუდენტებთან. კომკავშირის კომიტეტის კულტმასობრივი მუშაობის სექტორი შორს დგას აქტივისა და კომკავშირელთა ფართო მასებისაგან. იშვიათად ეწყობა წიგნების საჯარო განხილვა, ექსკურსიები, კინოთეატრებში კოლექტიურად წასვლა. მოუქნელად მუშაობენ კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიები. ნაკლები ყურადღება ექცევა ახალგაზრდა მწერლებთან მუშაობას. ახალგაზრდა მწერალთა წრის საქმიანობა თვითდინებაზეა მიშვებული. საანგარიშო პერიოდში სასპორტო-ფიზკულტურული მუშაობაც შესუსტდა.

ყველა ეს ნაკლი იმის შედეგია, რომ კომკავშირის კომიტეტი კოლეგიურად არ მუშაობდა, საფაკულტეტო ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობაში იგრძნობოდა ფორმალიზმი, არ იყო ნამდვილი ზრუნვა კომკავშირელთა აქტივობისა და ინიციატივის ასამაღლებლად. კომკავშირის კომიტეტის სუსტი ხელმძღვანელობის შედეგად საანგარიშო-საარჩევნო კრება ჩაიშალა დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, ხოლო ფილოლოგიის, ფიზიკისა და ისტორიის ფაკულტეტებზე საანგარიშო-საარჩევნო კრებები დაბალ იდეურ დონეზე მოეწყო.

უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობაში სერიოზულ ნაკლოვანებათა არსებობაში, — განაცხადა უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანმა ს. ჯორბენაძემ, — ბრალი მიგვიძღვის ჩვენც, კომუნისტებს, და პირველ რიგში პარტიულ კომიტეტს, რომლის ხელმძღვანელობა კომკავშირისადმი ცოცხალი და კონკრეტული არ იყო.

კონფერენციამ აირჩია კომკავშირის კომიტეტის ახალი შემადგენლობა და დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი მომავალი მუშაობისათვის.

რ. ზაქარაია.

თბილისი. გარეუბნის რაიონის სამკერვალო-სატრიკოტაჟო ფაბრიკაში საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა სტახანოველი მხვეველი ლ. ბაჩაკაშვილი, რომელიც ყოველდღიურ დავალებებს 180-185 პროცენტით ასრულებს. **სურათზე:** ლ. ბაჩაკაშვილი ძაფგადასახვევ დანადგართან.

ფოტო შ. გოკაძისა.

სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის გასაფართოებლად

საქართველოს სოფლის ელექტროფიკაციის ტრესტი (საქსოფლელექტრო) ანჟამად რესპუბლიკაში აშენებს 15 მცირეძალიან საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგურს, საიდანაც ეძვსი საადგური წელს ამუშავდება.

შრომატევად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ელექტროფიკაციის განსაზორციელებლად წელს ელექტროენერგიის ახალ ბაზებს მიიღებენ კასპის, ახალქალაქის, ორჯონიკიძის, ქობულეთისა და ხულოს რაიონების მთელი რიგი კოლმეურნეობები. ახალქალაქის რაიონში საექსპლოატაციოდ გადასცემენ ორ საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგურს, ხოლო დანარჩენ რაიონებში თითოს.

მომავალ წელს საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლები საექსპლოატაციოდ გადასცემენ დანარჩენ 9 მცირეძალიან სადგურს და ამასთან შეუდგებიან მთელი რიგი ახალი საკოლმეურნეო სადგურების მშენებლობას, რომელთა დაპროექტება ახლა მინდინარეობს.

გრძელვადიანი კრედიტი კოლმეურნეობებს

ხობი. (საკ. კორ.). წელს რაიონის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოსაგან 405 ათასი მანეთი გრძელვადიანი კრედიტი მიიღეს.

ხობის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ წელს სახელმწიფოსაგან სესხად მიიღო 25 ათასი მანეთი. იგი ამ თანხით და კოლმეურნეობის სხვა სახსრებით აშენებს პირუტყვის სადგომებს. ხეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა სახელმწიფოსაგან მიღებული სესხით აშენებს თუთის პლანტაციას და ეძენს საკოლმეურნეო ინაოლ-მანქანებს.

სახელმწიფოსაგან გრძელვადიანი კრედიტი მიიღეს ავრეთვე ქვემო ქვალონის სტალინის სახელობის და ხორგის [illegible] სახელობის კოლმეურნეობებმა.

საყურადღებო «წვრილმანები»

1. სარფიანი საქმის [illegible]

ამ სამი დღის წინათ, შუადღისას, რკინიგზის სადგურის საბილეთო სალაროს აღელვებული მოქალაქე მიუახლოვდა.

— მატარებელ თბილისი-სოჭის ბილეთი გაქვთ?

— დიახ, ინებეთ! — თავაზიანად უპასუხა მოლარემ.

მოქალაქე ერთ წუთს ჩაფიქრდა, დიდრონ ჩემოდნებს თვალი გადაავლო, კმაყოფილებით გაიღიმა და უბალეთ უკან გაბრუნდა.

— სამგზავრო ბილეთი უკვე შეგიძინე, ახლა ვაგონის გამყოლთან უკეთ გამოვნახავ საერთო ენას, ჩემი ნივთებიც წესიერად და მშვიდად იმოგზაურებს, განა ერთხელ და ორჯერ ჩამიტარებია ასეთი რეისი! გაიფიქრა ნან და ბაქანზე აჩქარებით გავიდა.

ერთ-ერთი ჩემოდანი მეტისმეტი გადატვირთვისაგან გაეხსნა, იქიდან მზის კაშკაშა სინათლეზე მიმზიდველად აელვარდა მაღალხარისხოვანი ქრომის ტყავი.

— რა კარგია, რა მშვენიერია, — ამ სიტყვებით მიუახლოვდა ჩემოდნის პატრონს თმაშეღებილი, ცხვირაწეული შუახნის ქალი, — თქვენ ტუფლების მკერავი [illegible] — კითხა.

— აქეთ მოიწოთ, გეტყობათ მოდის მიმდევარი ხართ, რა ფერის, რა ტყავისა გნებავთ? — წასჩურჩულა ჩემოდნიანმა. ბაქნის კუთხესთან მივიდნენ, მოითათბირეს.

— ნახვამდის, — ბოლოს ხელი დაუქნია ახალგაცნობილ კლიენტს, — ჩამოსვლის შემდეგ მომაკითხეთ. ჩემი მისამართია საბურთალოს ბაზარი!

ცნობილი სპეკულანტი ვ. ასატუროვი გუდაუთისაკენ მიიჩქარის, იქ ნას ელოდებიან შავი ზღვის სანაპიროზე მყოფი დამსვენებლები, ახალი „სტილური“ ფეხსაცმლის მოყვარულნი.

ფეხსაცმლის „ცნობიერმა ოსტატმა“ ვ. ასატუროვმა თბილისის ყველა კუთხე იცის, ბინებში, ქუჩებში დადის, მომხმარებლებს „კულტურულად“ ემსახურება, მისი სიტყვით „წვრილმან“ საქმიანობას ეწევა.

საინტერესოა, ვინ ამარაგებს გაქნილ კომბინატორს მოსახლეობისათვის განკუთვნილი ძვირფასი საფეხსაცმლე ტყავეულით?

ამ კითხვაზე პასუხს ალბათ მილიცია-პროკურატურის ორგანოები გაგვცემენ.

2. გზასაცდენილები

სამწუხაროდ, ჯერჯერობით აქა-იქ კიდევ გვხვდებიან ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც პატიოსან, საზოგადოებრივ შრომას გაურბიან და უქნარობაში ატარებენ დროს. ასეთებს ეკუთვნიან ჯანღლონით სავსე ჭაბუკები ი. ზუკაკიშვილი, თ. ტაბიძე და ხ. ხეჩინოვი.

— სად გავატაროთ, სად ვითარეშოთ მთელი დღე? — ამბობს ერთი.

— ხან ქუჩაში, ხან ეზოში ვიაროთ და ავურიოთ. — ამბობს მეორე.

— მცლავში ჯანი გვერჩის, ვაჭკაცები ვართ, — კვერს უკრავს მესაზე.

მათი სამოღვაწეო უბანი პლეხანოვის პროსპექტია, ისინი მთელ დღეს დაეხეტებიან, ლაზღანდარობენ. სხვების შრომა და სწავლა არ მოსწონთ. პირიქით, ხელს უშლიან, თავიანთ თავს „ქარგ ბიჭებად“ თვლიან.

როგორც ყოველთვის, იმ დღესაც გაილეშნენ. რკინიგზის საღამოს მე-8 სკოლაში ბარბაცით მივიდნენ. თავისებური გართობა მოისურვეს: ატეხეს ჩხუბი, აყალბაყალი. კლასში სწავლა შეწყდა. თავაშვებულმა ხულიგნებმა მოსწავლეებს ი. ტოროსიანს, ს. ბუკოევს და გ. აგაჯანიანს სცემეს, ერთი კიდევაც დაჭრეს.

— მერე რა მოხდა, ჩემს ცხოვრებაში ეს წვრილმანია, — ამბობს ზუკაკიშვილი.

— განა ჩვენი ბრალია? სიჭაბუკემ შეგვაცდინა! — თავს იმართლებს ხეჩინოვი.

— ჩვეულებრივად გავერთეთ, — ურცხვად ამბობს თ. ტაბიძე.

ასე დაემართა კომკავშირელ ა. დალაქიშვილსაც. სამი თვის წინათ ქუჩაში უსაქმოდ ხეტიალისა და აყალმაყალის დროს კომკავშირული ბილეთიც კი დაკარგა, ხოლო ამ დღეებში თავისი დანაშაული სხვას გადააბრალა.

ეს ფაქტები იმაზე მიგვითითებენ, რომ საჭიროა ახალგაზრდობაში აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება, ყოველდღიური, ულმობელი ბრძოლა ხულიგნობის. უქნარობისა და თაღლითობის წინააღმდეგ.

ა. სხვაველი.

კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების ახალი კადრები

მცხეთა. (საკ. კორ.). სოფელ საგურამოში მეშვიდე წელია არსებობს საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მოსამზადებელი სასოფლო-სამეურნეო საშუალო სკოლა. ამ ხნის განმავლობაში სკოლამ რესპუბლიკის კოლმეურნეობებს სოფლის მეურნეობის რამდენიმე ასეული სპეციალისტი მოუმზადა. 1951 წლიდან იგი სამწლიანია. ამას წინათ მოხდა ამ სკოლის მსმენელთა მესამე გამოშვება. გამოშვებისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება გახსნა სკოლის დირექტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. ს. მენთეშაშვილმა.

სახელმწიფო გამოცდების შედეგებისა და კურსდამთავრებულთა მომავალი ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ამხ. ი. კახიანმა.

სკოლა დაამთავრა 115 კაცმა, რომლებსაც მიენიჭათ უმცროსი აგრონომის წოდება. აქედან წარჩინებულის დიპლომი მიიღო 20 კაცმა, სახელმწიფო გამოცდები ხუთებზე ჩააბარა 26 და ოთხებზე და ხუთებზე — 57 კაცმა.

წარჩინებით კურსდამთავრებულთაგან ვ. არეججა (ბურჯაანი), გ. გვერდწითელი (ახალციხე), მ. ფიროსმანიშვილი (წითელწყარო), გ. რეხვიაშვილი (ქლუხორი), ი. ლაფანი (ბორი) და შ. ჯიბაშვილი (ორჯონიკიძე) მოხვდნენ ხუთპროცენტიან გამოშვებაში და უფლება მიენიჭათ უდამოცდოდ განაგრძონ სწავლა უმაღლეს სასწავლებელში.

სკოლადამთავრებულთა შორის სამი სოციალისტური შრომის გმირია. მათ შორის არიან: წითელწყაროს რაიონიდან ს. კობაიძე, თერჯოლიდან — დ. მაკარიძე და ქედის რაიონიდან — ვ. არძენაძე.

სკოლადამთავრებულებმა მადლობა გადაუხადეს კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას მზრუნველობისათვის და პირობა დადეს, რომ სკოლაში მიღებულ ცოდნას მთლიანად მოახმარენ სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრას.

გრძელვადიანი კრედიტი კოლმეურნეობებს

ხობი. (საკ. კორ.). წელს რაიონის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოსაგან 405 ათასი მანეთი გრძელვადიანი კრედიტი მიიღეს.

ხობის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ წელს სახელმწიფოსაგან სესხად მიიღო 25 ათასი მანეთი. იგი ამ თანხით და კოლმეურნეობის სხვა სახსრებით აშენებს პირუტყვის სადგომებს. ხეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა სახელმწიფოსაგან მიღებული სესხით აშენებს თუთის პლანტაციას და ეძენს საკოლმეურნეო ინაოლ-მანქანებს.

სახელმწიფოსაგან გრძელვადიანი კრედიტი მიიღეს ავრეთვე ქვემო ქვალონის სტალინის სახელობის და ხორგის [illegible] სახელობის კოლმეურნეობებმა.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

სამტრედიის სამშობიარო სახლი კაპიტალურ რემონტს, კეთილმოწყობას საჭიროებს. სამშობიარო სახლის მუშაკები ცუდად ემსახურებიან ავადმყოფებს, — სწერდა რედაქციას სოფლკორი სამტრედიის რაიონიდან.

რედაქციამ წერილი ზომების მისაღებად სამტრედიის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომს გადაუგზავნა. როგორც სამტრედიის რაიაღმასკომი იტყობინება, სამშობიარო სახლის შენობის კაპიტალური შეკეთებისათვის გამოყოფილია 25.300 მანეთი, შედგენილია სათანადო ხარჯთაღრიცხვა და მიმდინარეობს რემონტი.

განხორციელებულია საჭირო ღონისძიებანი ავადმყოფთა უკეთ მომსახურებისათვის.

გადავაქციოთ ბათუმი ულამაზეს ქალაქად

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მეუნელებლად ზრუნავენ მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის. ეს მკაფიო გამოხატულებას პოულობს მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების განუხრელ გაუმჯობესებაში.

მეხუთე ხუთწლედის მარტო ორ წელიწადში ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და მუშათა დაბებში აიგო 54 მილიონზე მეტი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, აშენდა და შენდება ახალი წყალსადენები და ელექტროსადგურები, საკანალიზაციო ქსელები და კოლექტორები, გაშენდა ახალი კეთილმოწყობილი პარკები, ბაღები, სკვერები, მოეწყო და გამწვანდა ქუჩები.

წელს დიდი სამუშაოები ხორციელდება ქალაქ ბათუმის შემდგომი კეთილმოწყობისა და კომუნალური მეურნეობის გაუმჯობესებისათვის.

ასიგნობანი კაპიტალურ მშენებლობაზე გასულ წელთან შედარებით გაიზარდა 72 პროცენტით, რაც განკუთვნილია საცხოვრებელი სახლების, წყალსადენის და ელექტროქსელის რეკონსტრუქციისათვის, სასკოლო და სხვა ობიექტების მშენებლობისათვის.

წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებას და ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობას. საბინაო ფონდის კაპიტალურ რემონტზე ოთხი მილიონი მანეთი დაიხარჯება.

ფართოდ გაიშალა საუწყებო საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. მაგალითად, ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა თავის ტერიტორიაზე (ქარხნის მუშათა დაბაში) აშენებს 60-ბინიან საცხოვრებელ სახლს, კოფეინის ქარხანა — ბარცხანის ტერიტორიაზე სამსართულიან 21-ბინიან საცხოვრებელ სახლს.

საცხოვრებელ სახლებს აშენებენ აგრეთვე სავაჭრო ნავსადგური და გემთშემკეთებელი ქარხანა რევოლუციის მოედანზე, საზღვაოსნო სასწავლებელი — ლენინისა და რუსთაველის ქუჩების კუთხეში, თევზის ქარხანა — ენგელსის ქუჩაზე. აშენდა და ამ დღეებში საექსპლოატაციოდ გადაეცა „სახელმწიფო თეატრის“ 12 სტანდარტული სახლი. სამ სტანდარტულ სახლს აშენებს მანქანათმშენებელი ქარხანა, 36-ბინიან ოთხსართულიან საცხოვრებელ სახლს — ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკა. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი მშენებლობა ძლიერ ჭიანურდება, რაც იმის შედეგია, რომ საქართველოს სსრ ფართო მოხმარების საქონლის მრეწველობის სამინისტრო ნაკლებ ყურადღებას აქცევს აღნიშნულ ობიექტს. მშენებლობა უზრუნველყოფილი არ არის სამშენებლო მექანიზმებით, საშენი მასალებით და სხვა საჭირო მოწყობილობით. ასევე გაჭიანურდა ბათუმის რკინიგზის კვანძის საცხოვრებელი სახლის მშენებლობა კიროვის ქუჩაზე, რაც ძირითადად გამოწვეული იყო მშენებლობისათვის გამოყოფილი ნაკვეთის დროზე აუთვისებლობით.

საცხოვრებელი სახლების მშენებლობასა და საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები და ჩამორჩენაა, იღვეგ. ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემისა და სახლების შეკეთების ვადები, ზოგჯერ დაბალია შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი.

შეუწყნარებლად გაჭიანურდა ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. სამშენებლო ტრესტის ახალმა ხელმძღვანელობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მშენებლობის უზრუნველყოფას მასალებით, მოწყობილობით და მუშახელით, იმ ანგარიშით, რომ ამ სახლის მშენებლობა მომავალი წლის პირველ კვარტალში მაინც დამთავრდეს.

კომუნალური და საუწყებო საცხოვრებელი სახლების მშენებლობასთან ერთად ქალაქში ფართოდ გაჩაღდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობა. აგებულია და ამჟამად მშენებლობის პროცესშია ასობით ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, ინდივიდუალურ ბინათმშენებლებს საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ერთი მილიონი მანეთი გრძელვადიანი სესხი მისცა.

დაიწყო და მომავალ წელს დამთავრდება საშუალო სკოლის სამსართულიანი შენობის მშენებლობა. ბათუმში შენდება კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების რამდენიმე სხვა ნაგებობაც.

დიდი ღონისძიებები ხორციელდება ქალაქის შემდგომი კეთილმოწყობისათვის. ამასთან, თუ წინათ კეთილმოწყობის სამუშაოები უმთავრესად ქალაქის ცენტრალურ ნაწილში სრულდებოდა, წელს კეთილმოწყობის თანხების 75 პროცენტი დაიხარჯება ქალაქის განაპირა უბნების წესრიგში მოყვანასა და კეთილმოწყობაზე.

წელს დიდი სამუშაოები შესრულდა გზებისა და დადაბლებული ადგილების მოსაზვინავად და ქუჩების შესაკეთებლად.

დამთავრდა რუსთაველის ქუჩის ზღვისპირის ქუჩასთან შეერთების და რევოლუციის მოედნის რეკონსტრუქციის სამუშაოები, რამაც კიდევ უფრო გაალამაზა ქალაქის ეს ისედაც მშვენიერი უბანი. მოედნის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით ბარბიუსის ქუჩა გასწორდება. მოედნის რეკონსტრუქციასთან ერთად გათვალისწინებულია ვ. ი. ლენინის ძეგლის გადაადგილება და მისი კვარცხლბეკის სრული რეკონსტრუქცია, საამისოდ მუშაობა უკვე დაწყებულია.

სტალინის სახელობის ზღვისპირა პარკი და ნინოშვილის ქუჩა გრძელდება საზღვაოსნო სასწავლებლამდე. განზრახული გვაქვს მიმდინარე წლის ბოლომდე დავამთავროთ ეს სამუშაოები.

სტალინის სახელობის ზღვისპირა პარკში შენდება ორსართულიანი კაპიტალური შენობა რესტორანისათვის. აგებულია საცეკვაო მოედანი და ესტრადა, მოწყობილია ბავშვთა კუთხე და სხვ.

წელს დიდი სამუშაოები შესრულდა პიონერთა პარკშიც, შეკეთებულია ყველა ნაგებობა, რეკონსტრუირებულია გარეულ ცხოველთა და ფრინველთა სადგომები, დასასრულს უახლოვდება პარკის კაპიტალური ღობის მშენებლობა რუსთაველის ქუჩის გაყოლებით.

ნავსადგურის მე-12 მისადგომს გაუკეთდა არქიტექტურულად გაფორმებული ლითონის ღობე. აქვე დაიწყო თაღოვანი შესასვლელის მშენებლობა. ვ. ი. ლენინის სახელობის სკვერში მოეწყო ლამაზი სტენდი.

ძიმდინარეობს ბათუმის წყალსადენის რეკონსტრუქციის პირველი რიგის სამუშაოები. დამთავრდა ერთი წყალგამწმენდი ნაგებობის სრული რეკონსტრუქცია, ძუშაობა დაიწყო ორი წყალსაცავისა და წყალსადენის მთავარ ძაგისტრალებთან ძათი შეერთებისათვის. მთელ რიგ ქუჩებზე წყალსადენის ძველი მილები ახალი, უფრო დიდი დიამეტრის მილებით შეიცვალა, რის შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდა მოსახლეობის მომარაგება სასმელი წყლით.

ყოველწლიურად დიდი სახსრები იხარჯება ქალაქის გამწვანებასა და სკვერებისა და ბაღების კეთილმოწყობა-შენახვაზე. წელს დარგულია 1.500 ძირი დეკორაციული ხე, 2.500 ძირი ბუჩქოვანი, 14 ათასი ძირი საბორდიურე და ერთი მილიონი ძირი ყვავილოვანი მცენარე. წლის ბოლომდე დამატებით დაირგვება დიდძალი დეკორაციული და ყვავილოვანი მცენარე. გარდა ამისა, „ტყის დღესთან“ დაკავშირებით ქალაქის საწარმო-დაწესებულებებმა და სხვა ორგანიზაციებმა დარგეს 16.875 ძირი ხეხილი და მარადმწვანე დეკორაციული მცენარეები.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქში მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა არადამაკმაყოფილებელია. საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, მისმა კომუნალურ მეურნეობის განყოფილებამ, გამწვანების ტრესტმა, უწყებებმა და ორგანიზაციებმა დროზე არ განახორციელეს საჭირო ღონისძიებანი ზამთარში მწვანე ნარგავთა დაცვისათვის, ხოლო ზაფხულში მათი მორწყვისათვის, რის შედეგად დიდძალი ნარგავი დაზიანდა და გახმა.

ამოცანა ის არის, რომ გამოვასწოროთ საბინაო მშენებლობასა და ქალაქის კეთილმოწყობაში არსებული ჩამორჩენა, გავაძლიეროთ მშენებლობისა და კეთილმოწყობის სამუშაოთა ტემპი, ამ საქმეში ჩავაბათ მშრომელთა ფართო მასები, გადავაქციოთ ბათუმი შავი ზღვის პირის ულამაზეს ქალაქად.

ს. ჩავლეიშვილი.

ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.



ბათუმი. სკვერი ლენინისა და სტალინის ქუჩების კუთხეში.

ფოტო ვ. ბაბაიანისა.

მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწე

ანდრია რაზმაძის გარდაცვალების 25 წლისთავის გამო

25 წელი გავიდა, რაც გარდაიცვალა საბჭოთა მათემატიკური მეცნიერების ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, ჩვენში ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა განვითარების დიდი მოამაგე და პროპაგანდისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, ენერგიული საზოგადო მოღვაწე პროფესორი ანდრია მიხეილის-ძე რაზმაძე.

ჯერ კიდევ მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლის წლებში ჩაესახა ანდრია რაზმაძეს მათემატიკური ანალიზის ერთ-ერთი საინტერესო დარგის — ვარიაციათა აღრიცხვის ღრმა სიყვარული. 1914 წელს დაიბეჭდა მისი პირველი გამოკვლევა, რომელმაც მაშინვე მიიქცია გამოჩენილი სპეციალისტების ყურადღება. გამოკვლევა შეეხებოდა ვარიაციათა აღრიცხვის ძირითადი პრობლემის გადატანას გაცილებით უფრო ზოგად შემთხვევაზე. ვარიაციათა აღრიცხვის ზოგადი ამოცანის რთული და საინტერესო თემატიკა, თავისი დიდი თეორიული და პრაქტიკული გამოყენებით, მოითხოვდა მთელ რიგ პრინციპულ სიძნელეთა გადალახვას, რათა მკვლევარს საგრძნობი ქვალი დაეტოვებინა და არსებითი წვლილი შეეტანა მეცნიერების ამ დარგში.

ა. რაზმაძე, როგორც რუსეთის მათემატიკის სახელოვან ტრადიციებზე აღზრდილი მოაზროვნე, ფართო მათემატიკური კულტურით აღჭურვილი მკვლევარი იყო. ძლიერი ნებისყოფით დაჯილდოებულმა მეცნიერმა დაძლია მის წინაშე წამოჭრილი ყველა დაბრკოლება და მოკლე დროში გახდა ვარიაციათა აღრიცხვის დიდი სპეციალისტი.

1917 წლიდან, როცა ა. რაზმაძემ მოსკოვის უნივერსიტეტში ჩაბარა სამაგისტრო გამოცდა და მიიღო პრივატ-დოცენტის თანამდებობა, იგი კითხულობდა ვარიაციათა აღრიცხვის სპეციალურ კურსს. დიდმა რუსულმა კულტურამ და მეცნიერულმა ტრადიციებმა ა. რაზმაძის გულში ახალი მიზნები აღძრა. იგი მოუთმენლად ელოდა მოზრდილ დროს უმაღლესი მათემატიკური განათლების საქართველოში დამოუკიდებელი საქმიანობისათვის. მას სურვილი ჰქონდა თავისი ფართო ცოდნა ქართველი ახალგაზრდობის აღზრდისათვის მოეხმარებინა.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ სინამდვილედ აქცია ჩვენი ხალხის საუკუნეობრივი ოცნება, ა. რაზმაძის სურვილსაც ხორცი შეესხა. მოწინავე ქართველ მეცნიერთა ერთი ჯგუფის ინიციატივით თბილისში უნივერსიტეტი დაარსდა. საქართველოში უნივერსიტეტის დაარსების ენთუზიასტთა ჯგუფს ა. რაზმაძეც ეკუთვნოდა. აქედან იწყება მისი მეცნიერული მოღვაწეობის ახალი პერიოდი. მან პირველად დაწერა თბილისის უნივერსიტეტში დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილი მათემატიკური მეცნიერებისა და აზროვნების შესანიშნავი ტრადიცია. ა. რაზმაძემ შექმნა პირველი სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე უმაღლეს მათემატიკაში.

დიდი იყო ა. რაზმაძის დამსახურება, როგორც პედაგოგისა და აღმზრდელისა. იგი დიდი დამაჯერებლობით და გატაცებით კითხულობდა თბილისის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტზე მათემატიკური ანალიზის ძირითად საგნებს და ზოგჯერ მექანიკას და ფიზიკასაც. გრძნობდა რა ლექტორის უდიდეს პასუხისმგებლობას აუდიტორიის წინაშე, გამოჩენილი მეცნიერი განსაკუთრებით ზრუნავდა სალექციო თემის დამუშავებისათვის, მასალის მისაწვდომად წაკითხვისა და გარეგნული გაფორმებისათვის. ყოველი მისი ლექცია მასალის მხრივ ღრმაშინაარსიანი იყო. ყურადღების ცენტრში თემის პრინციპული საკითხები იდგა.

1924 წელს ა. რაზმაძე მივლინებული იყო ქ. ტორონტოში (კანადა) მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესზე. საზღვარგარეთ მიმავალი ჩვენი სახელოვანი მეცნიერი გამსჭვალული იყო ერთი აზრით: თბილისის უნივერსიტეტი წარმოედგინა საუკეთესო მეცნიერულ-მაჩვენებლებით. ამ კონგრესზე ა. რაზმაძის მოხსენებას ბრწყინვალე წარმატება ხვდა. მოხსენებაში დიდი ოსტატობით იყო გადმოცემული დასრულებული და ახალი შედეგები ვარიაციათა აღრიცხვის ე. წ. წყვეტილი ამოხსნების საკითხებიდან.

ა. რაზმაძე დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს მეცნიერების განვითარებას, მუდამ ყოო მათემატიკის ახალი მიღწევების კურსში. იგი ეკუთვნოდა იმ მეცნიერთა კატეგორიას, რომელთაც შესწევთ ნამდვილად ნიჭიერი ახალგაზრდების შერჩევისა და გაბედულად დაწინაურების უნარი.

ანდრია რაზმაძემ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა საქართველოში მათემატიკური კადრების აღზრდასა და მომზადებას. ჩვენი ქართველი მათემატიკოსების უფროსი თაობის წარმომადგენლები ძირითადად მისი მოწაფეები არიან და მის მიერ დანერგილ ტრადიციებს აგრძელებენ. მათ რიცხვში უკვე რამდენიმე ათეული მეცნიერი — მათემატიკოსი და ფიზიკოსია. ფართო მათემატიკურმა განათლებამ, რომელიც ა. რაზმაძემ დაუნერგა თავის მოწაფეებს, ხელი შეუწყო შემდგომში ნაყოფიერი მუშაობის გაშლას მათემატიკის სხვადასხვა დარგში. ამჟამად წარმოების დიდი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მის საყვარელ დარგშიც — ვარიაციათა აღრიცხვაში.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასეს ა. რაზმაძის მოღვაწეობა მშობლიური მეცნიერების წინაშე. მის სახელს ატარებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტი. საქართველოში მათემატიკური მეცნიერების განვითარების ისტორია განუყოფლად დაკავშირებულია ანდრია რაზმაძის სახელთან. მისი მოღვაწეობა შთამაგონებელი მაგალითია მეცნიერთა როგორც უფროსი, ისე ახალგაზრდა თაობისათვის.

პროფესორები: **ვ. ჯელიძე, ე. წითლანაძე.**

„გზა მომავლისა“

რუსთაველის სახელოგის თეატრის სპექტაკლი

რუსეთთან საქართველოს შეერთება დიდმნიშვნელოვან ისტორიულ აქტს წარმოადგენს ქართველი ხალხის ცხოვრებაში. მეთვრამეტე საუკუნის დიდმა სახელმწიფო მოღვაწემ ერეკლე მეორემ, გამოხატავდა რა მთელი ქართველი ხალხის მისწრაფებას, მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო — რუსეთისათვის შეეერთებინა სა-

მსახიობები როლებში: ა. ვასაძე (ერეკლე მეორე), თ. ბაქრაძე (დედოფალი).

ქართველო, რაც ისტორიულ მოვლენათა მსვლელობის მთელი განვითარებით იყო შეპირობებული.

გარეშე მტრებთან დაუსრულებელმა ომებმა, საქართველოს ფეოდიურად განდგურების საფრთხემ და საკუთარ ფეოდალებთან ბრძოლამ ერეკლე საბოლოოდ მიიყვანა ამ დასკვნამდე, რომ დიდ რუსეთთან საქართველოს სახელმწიფოებრივი ბედის სამარადისოდ დაკავშირება ერთადერთი ხსნა და გამოსავალი იყო ქართველი ხალხის გადასარჩენად.

ამ საკითხების მხატვრული გაშუქებაა მოცემული ოლო მოსაშვილის პიესაში „გზა მომავლისა“. მასში მხოლოდ ზოგიერთი საყურადღებო ისტორიული მომენტის მხატვრულად ასახვის ცდაა მოცემული. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ცდა გარკვეული წარმატებით არის დაგვირგვინებული.

ქართველი ხალხის გულწრფელი დამეგობრება რუს ხალხთან დრამატურგს კარგად აქვს წარმოდგენილი მელითონე ოლეგ სედოვისა და მაიკოს სიყვარულის ფონზე. ეს მომენტი გაძლიერებულია იმით, რომ პიესაში ქართველი მეომრების გვერდით ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ გმირულად იბრძვიან რუსი არტილერისტები. ბრძოლის ქარცეცხლმა და საერთო საქმისათვის დაღვრილმა სისხლმა ჩაუყარა საფუძველი რუს-ქართველთა ძმურ ურთიერთობას, რაც შემდეგ განუყრელ მეგობრობაში გადაიზარდა.

თეატრი სწორედ ამ დიდმნიშვნელოვანი მომენტისადმი აძლიერებს თავის ყურადღებას და მას უდებს ქვაკუთხედად სპექტაკლს.

უნდა აღინიშნოს, რომ წაწარმოებში აქა-იქ შესამჩნევია ერთგვარი დეკლარაციული ტონი. თეატრსაც ვერ დაუძლევია ეს ნაკლი, რაც გარკვეულ ხარვეზად რჩება სპექტაკლში. მაგრამ ეს მხოლოდ ცალკეული დეფექტებია, რაც ვერ ანდენს საგრძნობ უარყოფით გავლენას სპექტაკლის იდეურ მთლიანობასა და მის მხატვრულ-ემოციურ ძლიერებაზე.

პიესის გაცნობა უდავოდ გვარწმუნებს, რომ მას საფუძვლად უძევს ისტორიული მასალების სერიოზული ცოდნა, მასში ნათლად სჩანს ავტორის მხატვრული აღღო სახელმწიფოებრივ, სოციალურ, ყოფითს თუ პირად ურთიერთობათა ასახვაში. პიესის დიდ ღირსებად უნდა ჩაითვალოს ამ საინტერესო მწერლისათვის დამახასიათებელი კარგი ლიტერატურული ენა. პიესა მდიდარია ხატოვანი თქმებით, მოკვეთილი ფრაზებით. ამ დრამატული ნაწარმოების ენა ორგანულად არის ჩაქსოვილი პიესის მთლიან მხატვრულ ქსოვილში და მკაფიოდ გამოხატავს გმირთა სულიერ სამყაროს, მათ ყოფას, ხასიათის წარმმართველ დინებას.

სპექტაკლის მთავარ შთამაგონებელ იდეად მოსჩანს პატრიოტული სულისკვეთება, ხალხისა და სამშობლოსათვის თავდადების უანგარო გრძნობა. ეს საყურადღებო საკითხი ერთიანი ნაკადის თვალსაზრისით როდია გადაჭრილი. პატრიოტიზმის კეთილშობილური იდეის მატარებელი ადამიანები თავიანთ გზაზე აწყდებიან უამრავ დაბრკოლებას, მათ წინ ეღობებათ სოციალურად მავნე და განწირული ელემენტები მოღალატე ფეოდალთა სახით. ისინი მშრომელი ხალხის მისწრაფებათა წინააღმდეგ იბრძვიან უცხოელ დამპყრობთა მხარდამხარ. ეს მომენტი კარგად არის ნაჩვენები როგორც პიესაში, ისე სპექტაკლში. ხალხის ძალა, მისი დაუშრეტელი შესაძლებლობანი, სამართლე, შრომა და პატიოსნება მთავარ ხაზად გასდევს ნაწარმოებს.

სპექტაკლის ყველა ადგილი თანაბარი სიძლიერით როდია დამუშავებული. ასე, მაგალითად, პირველი მოქმედების ფინალში ნაჩვენებია ერეკლეს სტუმრობა ქართლელი გლეხის მახარეს ოჯახში. აქ დრამატურგის მიერ ძახერხებულად არის გამოყენებული ჩვენში საკმაოდ ცნობილი და გავრცელებული ვერსია ერეკლე მეფისა და ინგილო ქალის შესახებ. პიესაში ეს ეპიზოდი ოდნავი სახეცვლილებით არის შეტანილი. მეფეს ქლიავს ესვრის მახარეს დი მაიკო და ქუდში მოახვედრებს:

„ერეკლე წამოიბრა, ხალხი წამოიშალა. მოურავმა მაიკოს თვალი შეასწრო, ხელი სტაცა და მეფესთან მიათრია.

მოურავი — როგორ შეპბედე, შე ალქაჯო, ჩვენს ძვირფას მეფეს?

მაიკო — (მოურიდებლად) ჩვენი თუ არის, მაშ სპარსული ქუდი რად ჰხურავს?!

ციციშვილი — დიდო მეფეო, არ შერისხო... ხედავ? — გიჟია!

ერეკლე — გიჟი კი არა, — არ გეწყინოს, შენზე ჰკვიანი! ყოჩაღ გოგონავ! ამ ქუდს ვიხდი, — შენ მართალი ხარ. (ქუდი მოიხადა). ქართველთა მეფეს უნდა ჭკნილს ქუდიც ქართული!... აბა, ეს ქისა, შენს მეშვიდე ვაჟს შეუნახე, გატყობ, იქნება სასახელო ქართველი დედა!“

ეს სცენა სპექტაკლში მკრთალად ეღერს.

ასეთივე უფერულია საკმაოდ ემოციური ეპიზოდი მეორე მოქმედებიდან, როცა ერეკლე ნადირშაპის ნაქონ ხმალს უძღვნის ბატას მადლობის ნიშნად.

აკაკი ვასაძე ერეკლეს რთულ შინაგან ბუნებას ოსტატურად ხსნის და მაფარად გამოვლენს ამ სასცენო გმირის ადამიანურ უბალოლებას, სამშობლოსათვის თავდადებული სახელმწიფო მოღვაწის ბუნებას. მსახიობის თამაშში ნათლად არის დახატული ერეკლე, პირველ რიგში, როგორც ადამიანი, შემდეგ — როგორც სახელმწიფოს მესაჭე, სარდალი. თავის მამაშვილურ გრძნობებს ა. ვასაძე — ერეკლე თავდაჭერილად, ძაგრამ გულთბილად აძეღავებს ლეგან ბატონიშვილთან ურთიერთობაში. გმირის ადამიანური განცდები მკაფიოდ სჩანს მახარესთან, მზეკალასთან, ოლეგ სედოვთან დაკავშირებულ მატერიალურ ზარალს აყენებენ. ამერიკელმა პუბლიცისტმა ჰიორშმა ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით განაცხადა, რომ ორგანიზებულ დანაშაულობა 17 მილიარდ დოლარს შეადგენს!

ორგანიზებულ დანაშაულობას თავიანთი ინტერესებისათვის იყენებენ ტერეუაზიული პარტიები, განსაკუთრებით საარჩევნო კამპანიების დროს. ბანდიტთა ტრუბოები „პარტიული ბოსების“ მითითებით, რომლებიც ხშირად თვითონვე განგსტერები არიან, აშინებენ ამომრჩევლებს, სცემენ და ხოცავენ ნათთვის არასასურველ პირებს, აყალბებენ საარჩევნო ბიულეტენებს.

რაც შეეხება პოლიციას, შეერთებული შტატების დიდ ქალაქებში პოლიციის ხელმძღვანელები ხშირად პაიკები არიან პოლიტიკური მანქანის მოღვაწეთა ხელში. მათ თავიანთი თანამდებობა უკავიათ დანაშაულებრივი ელემენტების ნებით, რომლებმაც ბოახერხეს მათი დანიშვნა. ისინი თანამდებობაზე რჩებიან მხოლოდ მანამდე, სანამ თავიანთ ბატონებს ეხსახურებიან“.

წიგნში დამაჯერებლად არის ნაჩვენები, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში კაპიტალისტურ მონოპოლიებთან დაკავშირებული რეკეტრის, განგსტერის, მკვლელის, მძარცველის, მოძალადის, გამნძალველის და ქურდის „პროფესია“ არა მარტო გავრცელებული გახდა, არამედ დაუსჯელიც.

ყოველი 100 კაციდან, რომელთაც დანაშაული ჩაიდინეს ნიუ-იორკში, მხოლოდ 15 ხვდება ბრალდებულის სკამზე, ისჯება კი მხოლოდ 2.

ნიუ-იორკში დიდხანს და დაუსჯელად არსებობდა სპეციალური „მკვლელთა სინდიკატი“ ნრავალი ათასი კაცისაგან შემდგარი შტატით. ამ „სინდიკატის“ „ოპერატიული განყოფილების“ ერთ-ერთმა თანამშრომელმა ეიხი რილზმა 18 მკვლელობა ჩაიდინა. ნაგრამ იმათი მფარველობით ვისაც იგი ემსახურებოდა, ყოველთვის დაუსჯელი რჩებოდა.

არსად და არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია ალბერტ ლენონს — ამერიკის კომპარტიის ერთ-ერთ ხელმძღვანელს და მეზღვაურთა ეროვნული პროფკავშირის დამაარსებელს. მთელ თავის სიცოცხლეში იგი მშრომელთა ინტერესებს იცავდა და ბევრი რამ გააკეთა განგსტერების გამოსამყოვანებლადაც. მაგრამ ა. ლენონს პატიმრობა მიუსაჯეს. „ნე საპყრობილეში მივდივარ, — თქვა მან, ამყოვანებდა რა ამერიკის ნამდვილ „მართლმსაჯულებას“, — ისეთი განგსტერები კი, როგორიც არიან ანსტასია და რაინი (ბანდიტები, რომლებიც ნეთაურობენ რეკეტს ნიუ-იორკის ნავსადგურში. — **ჯ. ჯ.**), რომლებიც ასრულებენ გემების მფლობელთა ბრძანებებს, გარეთ რჩებიან, რომ მკვლელობა და მხეცური ექსპლოატაცია განაგრძონ“.

ამჟამად ამერიკელი იმპერიალისტები აშკარად ირღვევენ შეერთებულ შტატებში მოქმედ კანონებს. მათ აკრძალეს კომპარტიის არსებობა, რითაც ცდილობენ თავი მოჭკვეთონ მუშათა მოძრაობას. ასეთ პირობებში რეაქციის თარეში მიმართულია არა მარტო კომპარტიის წინააღმდეგ, არამედ ყველა იმათ წინააღმდეგაც, ვინც პროგრესის, დემოკრატიისა და მშვიდობის სადარაჯოზეა.

ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ინას, რომ განგსტერიზმის კულტის „იდეოლოგიურ წყაროს“ და „თეორიულ საფუძველს“ წარმოადგენენ კაცთმოძულეობის ცრუმოძღვრებანი, რომლებიც ნასესხებია ჰიტლერული პროპაგანდის არსენალიდან.

ლიტერატურა, გაზეთები, კინო, მხატვრობა, თეატრები, რადიო, ტელევიზია თავიანთი მხრივ ხოტბას ასხამენ ბკვლელობის, ძლიერი პიროვნების კულტს, მსოფლიოს ყველა რასისა და ეროვნების წინაშე ანგლო-საქსების „უპირატესობას“, ამაბუთებენ ამერიკელ მილიარდერთა „უფლებას“ — უხელმძღვანელონ მსოფლიოს.

ისეთი ჟურნალიც კი, როგორიც არის „ნეშნლ ჰერენტ-ტიჩე“, — ამერიკის შეერთებული შტატების განათლების უწყების ორგანო, ამერიკელი ახალგაზრდობის ნთელი „განათლების“ აზრს ბმედეგში ხედავს: „ჩვენს ქვეყანას მხოლოდ ის ესაჭიროება, რომ ჰყავდეს ადამიანები, რომლებიც სხვებს დახოცავენ, — რათა თვითონ გადარჩნენ. ჩვენ გვჭირდება მკვლელები და მეტი არაფერი“. ძნელია რაიმე დაემატოს ამ ციინიკურ განცხადებას.

ორგანიზებული დანაშაულობა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების როგორც პოლიტიკაში, ისე ეკონომიკაში შეიჭრა და მოიცავს არა მარტო საშინაო, არამედ საერთაშორისო ურთიერთობასაც, ყბადაღებული „ანერიკული ცხოვრების წესის“ შედეგსა და გარდუვალ დანამატს წარმოადგენს.

ავტორი სამართლიანად დასკვნის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მუშათა კლასი აქტიურად უწევს წინააღმდეგობას იმპერიალისტ განგსტერსა და ორგანიზებული დანაშაულობის შეტევას. „დემოკრატიისათვის, მშვიდობისათვის, მშრომელთა უფლებებისა და ინტერესებისათვის ბრძოლაში ამერიკის მუშათა კლასი მიუძღვის ამერიკელი ხალხის ფართო ფენებს, რომელნიც დემოკრატიის, სოციალიზმისა და მშვიდობის ბანაკის ქვეყნების მაგალითით, უწინარეს ყოვლისა დიდი საბჭოთა სახელმწიფოს ნაგალითით, სულ უფრო ნათლად ხედავენ, რომ მხოლოდ სოციალიზმის პირობებშია შესაძლებელი დანაშაულობის აღმოფხვრა, შესაძლებელია გამარჯვება სამართლიანობისა, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების ხელშეუხებლობას, ამ უფლებებისა და მთელი სახელმწიფოს და მისი ორგანოების ინტერესების დაცვას“.

ბ. ნიკიფოროვის წიგნი „ორგანიზებული დანაშაულობა ამერიკის შეერთებულ შტატებში მონოპოლიათა სამსახურში“ უნარიანად ამხილებს „ამერიკული ცხოვრების წესის“ ერთ-ერთ მხარეს, რომელსაც იმპერიალისტები გულმოდგინედ ფარავენ. წიგნი, ეჭვგარეშეა, სარგებლობას მოუტანს საბჭოთა მკითხველებს.

ვ. პავლოვი.

მსახიობები როლებში: ალ. აფხაიძე (რუსთა მეფის ელჩი) მ. ჩახავა (მზეკალა).

ორიგინალური გაზრდა მიუცია სტეფანე ჯაფარიძეს რევაზ ციცეშვილის სცენური სახისათვის. მისი გაგებით, სამშობლოს მოღალატე პაატას მარჯვენა ხელის — რევაზის დაჩლუნგებულ ცნობიერებამდე ყველაფერი დაგვიანებით აღწევს. ცხადია, ასეთი ტიპი უფრო გამოადგებოდა გაიძვერა პაატა ბატონიშვილს თავის ყურრმოჭრილ მონად და ნებასურვილის უსიტყვო შემსრულებლად.

სამართლე და უშფოთობა ჩანს ნათელა ფალიაშვილის მიერ მაიკოს როლის განსახიერებაში. მან შეძლო ერეკვენონა ცხოვრების სიდიუტჩრის გამო უდროოდ დაბრძენებული, მწარე გამოცდილებით დატვირთული სხალგაზრდა გლეხი ქალის პატიოსანი და ბრიდაპირი ბუნება. ძლიერია მსახიობი განჯის ციხის გამგეშლის, სპარსთა სარდლის ჩალაბანის დარბაზის სცენაში. აქ მან შეძლო გადმოეცა უსაზღვრო სიძულვილი დამპყრობთადმი და სიყვარული თავისი ხალხისადმი.

ფართო და მრავალფეროვანი საშუალებებით ანხორციელებს დაკისრებულ როლს მსახიობი გიორგი კიკნაძე. მსახიობს დაძლეული აქვს რთული ამოცანა — თავი მოაჩვენოს ჩალაბანს ერთგულ მსახურად და ამავე დროს აკეთოს თავისი ქვეყნის გათავისუფლების საქმე.

ხალხური ხასიათგონიერების, ჭკვიანური გულკეთილობის იერით არის აღბეჭდილი მსახიობ ივ. ჯავახიშვილის თამაში. იგი მესტვირე გელას როლს ასრულებს. მიუხედავად როლის ეპიზოდურობისა და მასსლის მცირე მოცულობისა, მსახიობმა საინტერესო სცენური სახე შექმნა.

შეიძლება სწორედ როლის ის ზემოხსენებული დეკლარაციული ხასიათის მასალა იყო იმის მთავარი მიზეზი, რომ ნიჭიერი მსახიობი ვალერიანე დოლაძე ვერ ქმნის გაჯიგი მრავალსახეა მმართველის ხასიათისა და ბუნების სრულ შთაბეჭდილებას. თავისი შესაძლებლობის შეკვეცით და სრული გამოყენების გარეშე ასრულებს მსახიობი დაკისრებულ როლს.

გიორგი საღარაძე მომხიბლავი უბრალოებით ასრულებს რევაზ ციცეშვილის ყმის მახარეს როლს. მსახიობი თანაბარი ძლიერებით ატარებს როგორც სულიერი სიმშვიდის, ისე დაძაბული მოელვარებისა და სულიერი აფორიაქების გამომხატველ სცენებს.

უთუოდ საინტერესო, კოლორიტული სცენური სახე შექმნა მსახიობმა ვ. ელოშვილმა ქიზიყელი მეომრის პატარა, ეპიზოდურ როლში.

სპექტაკლის მუსიკა (კომპოზიტორი ს. ცინცაძე) და მხატვრული გაფორმება (მხატვარი ფ. ლაბიშვილი) თავიანთი ნამუშევრით რეჟისორს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს შ. აღსაბაძეს ხელს უწყობენ ნაწარმოების იდეის სწორად გახსნაში და მხატვრული დონის ძლიერებაში.

პ. ბახტურიძე.

ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიათა სამსახურში

ამერიკის შეერთებულ შტატებში კატასტროფულად იზრდება დანაშაულობა. შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალური ბიუროს ცნობით, იქ „საშუალოდ ყოველ 13,8 წუთში სჩადიან დიდ დანაშაულს“. 1954 წლის პირველ ნახევარში გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით გაძარცვის შემთხვევათა რაოდენობა გადიდდა 20,4 პროცენტით, შემტვრევით ქურდობისა — 13,2 პროცენტით, ქურდობისა — 9 პროცენტით. ამ პერიოდში დანაშაულობათა შედეგად მოკლულ იქნა 6.380 კაცი.

ნიუნედავად დანაშაულობათა ასეთი დიდი რაოდენობისა, დანაშაულობის ეს სახე რიდია მთავარი უბედურება ამერიკის შეერთებული შტატების მშრომელებისათვის. იქ ფართო გავრცელება ჰპოვა ეგრეთწოდებულმა ორგანიზებულმა დანაშაულობამ — კაპიტალისტური მონოპოლიების მიერ პოლიტიკური ტერორისა და ხალხის დარბევის ერთ-ერთმა უძლიერესმა საშუალებამ.

ბ. ნიკიფოროვის წიგნი „ორგანიზებული დანაშაულობა ამერიკის შეერთებულ შტატებში ნონოპოლიათა სამსახურში“*) საკმაოდ სრულ წარმოდგენას იძლევა ამ საკითხზე.

ჯერ კიდევ ვ. ი. ლენინი წერდა, რომ ამერიკის ტრესტები, რომლებიც იმპერიალიზმის, ანუ მონოპოლისტური კაპიტალიზმის ეკონომიკის უნაღლეს გამოხატულებას წარმოადგენენ, კონკურენტი რომ ჩამოიცილონ, არ სჯერდებიან ეკონომიურ საშუალებებს, არამედ მუდამ მიმართავენ პოლიტიკურ და სისხლის სამართლის საშუალებებსაც.

ახლა ზემოგებულ მიზნით მონოპოლიების მიერ პოლიტიკურ და სისხლის სამართლის საშუალებათა გამოყენება ჩვეულებრივ და ყოველდღიურ მოვლენად იქცა. „ორგანიზებულ დანაშაულობათა განმაკვლევი სპეციალური კომისიის“ თავმჯდომარე სენატორი კეფოვერიც კი, რომელმაც ყველა ღონისძიება მიიღო იმისათვის, რომ საზოგადოებრიობისათვის დაემალა ორგანიზებულ დანაშაულობათა სულისჩამდგმელნი და ნამდვილი დამნაშავენი, იძულებული გახდა ეღიარებინა, შემაძრწუნებელია იმის დანახვა, თუ რამდენად გავრცელდა ამერიკაში დანაშაულობანი და პოლიტიკური კორუპცია, რომლებიც ერის ძალებისათვის ძირის გამოთხრის საფრთხეს ქმნიანო.

სარეცენზიო წიგნში შეკრებილია ვრცელი ფაქტიური მასალა ორგანიზებული დანაშაულობის სხვადასხვა ფორმების შესახებ.

უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალისტური მონოპოლიები ორგანიზებულ დანაშაულობას პოლიტიკური ტერორის იარაღად იყენებენ.

ბურჟუაზიული კანონები, შეკვეცილი და ყოველმხრივ შეზღუდული ბურჟუაზიული დემოკრატია ახლა ხელს აღარ აძლევს კაპიტალისტებს. ისინი პირდაპირ ირღვევენ ოდესღაც მათ მიერ მიღებულ და რეკლამირებულ კონსტიტუციას, შემოიღეს პოლიციური თვითნებობა, კრძალავენ პროგრესული ორგანიზაციების საქმიანობას და აქვეზენ ფაშისტური ელემენტების თავაშვებულობას.

მაგრამ მონოპოლიებს ყოველთვის როდი შეუძლიათ აშკარად განახორციელონ ანტიხალხური პოლიტიკა. და მაშინ ასპარეზზე გამოდიან მთელი შეიარაღებული ბანდები, საზოგადოების ნაძირალები, რომლებიც მზად არიან ფულისათვის ყოველგვარი დანაშაული ჩაიდინონ. ამერიკელი კაპიტალისტები ინისათვის, რომ მუშათა გაფიცვები ჩაქრონ და პროფკავშირებსა და სხვადასხვა დემოკრატიულ ორგანიზაციებს გაუსწორდნენ, განგსტერების მუდმივ რაზმებს ინახავენ.

მაგალითად, სასკანდალოდ ცნობილი გახდა ბანდიტ ბერგოფის „ფირმა“, რომელიც დახელოვნებული იყო გაფიცვების ჩაშლაში. ბერგოფი „შტრაიკბრეხერთა მეფის“ ტიტულს ატარებდა. მისი ნრავალრიცხოვანი ბანდები პოლიციის მფარველობით დადიოდნენ სხვადასხვა ქალაქებში და გაფიცულთა წინააღმდეგ იყენებდნენ რეზინის ჯოხებს, ცრემლსადენ გაზებს, შაშხანებსა და ტყვიამფრქვევებს. მათი თარეშის შედეგი იყო ბევრი მუშის დაჭრა და მოკვლა. მონოპოლიები უხვად აჯილდოებდნენ ბანდიტებს. ბერგოფის პირადი ქონება 4 ნილიონ დოლარს უდრიდა.

ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ მონოპოლიების მიერ განგსტერების ორგანიზებული და გეგმიანი გამოყენება მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში ამერიკის შეერთებულ შტატებში ფაშისტური რეჟიმის დანერგვის აშკარა გამოხატულებას წარმოადგენს.

ორგანიზებულ დანაშაულობას მონოპოლიები იყენებენ არა მარტო მშრომელ მასებზე ტერორისტული ზემოქმედებისათვის ინ მიზნით, რომ კლასობრივი ბრძოლა შეასუსტონ და მასში დეზორგანიზაცია შეიტანონ, არამედ ხალხის გასაძარცვავადაც.

განსაკუთრებით ფართოდ გავრცელებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში დანაშაულის ისეთი სახე, როგორც არის რეკეტი — მშრომელთა დათრგუნვისა და გაჩანაგების ერთ-ერთი მეთოდი, ფულის სისტემატური გამოძალვა დაშინებისა და ძალადობის საშუალებით.

ამერიკელი მკვლევარები რეკეტს განსაზღვრავენ როგორც „ხარკს“, რომელსაც დამნაშავეთა სხვადასხვა ჯგუფები მეწარმეებსა და ვაჭრებს ახდევინებენ. რეკეტირები მართლაც იღებენ თავისებურ „ხარკს“ ვაჭრობის, კომუნალური ნეურნეობის, სხვადასხვა სახის საწარმოო საქმიანობის თითქმის ყველა დარგიდან. მაგრამ ეს საქმის მხოლოდ გარეგანი მხარეა. ნამდვილი მდგომარეობა კი ასეთია: ბიზნესმენებს, რომლებიც დიდ თანხებს იხდიან ბოროტმომქმედთა ბანდებისადმი „მფარველობისათვის“, ამით მოგება აქვთ პოლიტიკურადაც და ეკონომიურადაც.

ჯერ-ერთი, რეკეტირები ეხმარებიან კაპიტალისტებს მშრომელებთან ბრძოლაში, პროფკავშირების განადგურებაში, კონკურენტებზე ზემოქმედებაში და სხვ.

მეორე, ყველაფერს, რასაც მეწარმეები რეკეტირებს აძლევენ გაწეული სამსახურისათვის, ასმაგად ინაზღაურებენ ფასების გადიდებით, ექსპლოატაციის გაძლიერებით და თვით მუშამოსამსახურეთა ხელფასის შემცირებით. „ანით, — სწორ დასკვნას აკეთებს ავტორი, — კაპიტალისტები ფაქტიურად აიძულებენ ეშრომელებს შეინახონ სწორედ ის ბანდიტები, რომლებიც მეწარმეთა მითითებით ანადგურებენ მუშათა ორგანიზაციებს, მხეცურად სცემენ ნუშათა მოძრაობის აქტივისტებს და შლიან გაფიცვებს“.

რეკეტირთა ბანდები მოსახლეობას უდიდეს მატერიალურ ზარალს აყენებენ. ამერიკელმა პუბლიცისტმა ჰიორშმა ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით განაცხადა, რომ ორგანიზებულ დანაშაულობა 17 მილიარდ დოლარს შეადგენს!

ორგანიზებულ დანაშაულობას თავიანთი ინტერესებისათვის იყენებენ ტერეუაზიული პარტიები, განსაკუთრებით საარჩევნო კამპანიების დროს. ბანდიტთა ტრუბოები „პარტიული ბოსების“ მითითებით, რომლებიც ხშირად თვითონვე განგსტერები არიან, აშინებენ ამომრჩევლებს, სცემენ და ხოცავენ ნათთვის არასასურველ პირებს, აყალბებენ საარჩევნო ბიულეტენებს.

რაც შეეხება პოლიციას, შეერთებული შტატების დიდ ქალაქებში პოლიციის ხელმძღვანელები ხშირად პაიკები არიან პოლიტიკური მანქანის მოღვაწეთა ხელში. მათ თავიანთი თანამდებობა უკავიათ დანაშაულებრივი ელემენტების ნებით, რომლებმაც ბოახერხეს მათი დანიშვნა. ისინი თანამდებობაზე რჩებიან მხოლოდ მანამდე, სანამ თავიანთ ბატონებს ეხსახურებიან“.

წიგნში დამაჯერებლად არის ნაჩვენები, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში კაპიტალისტურ მონოპოლიებთან დაკავშირებული რეკეტირის, განგსტერის, მკვლელის, მძარცველის, მოძალადის, გამნძალველის და ქურდის „პროფესია“ არა მარტო გავრცელებული გახდა, არამედ დაუსჯელიც.

ყოველი 100 კაციდან, რომელთაც დანაშაული ჩაიდინეს ნიუ-იორკში, მხოლოდ 15 ხვდება ბრალდებულის სკამზე, ისჯება კი მხოლოდ 2.

ნიუ-იორკში დიდხანს და დაუსჯელად არსებობდა სპეციალური „მკვლელთა სინდიკატი“ ნრავალი ათასი კაცისაგან შემდგარი შტატით. ამ „სინდიკატის“ „ოპერატიული განყოფილების“ ერთ-ერთმა თანამშრომელმა ეიხი რილზმა 18 მკვლელობა ჩაიდინა. ნაგრამ იმათი მფარველობით ვისაც იგი ემსახურებოდა, ყოველთვის დაუსჯელი რჩებოდა.

არსად და არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია ალბერტ ლენონს — ამერიკის კომპარტიის ერთ-ერთ ხელმძღვანელს და მეზღვაურთა ეროვნული პროფკავშირის დამაარსებელს. მთელ თავის სიცოცხლეში იგი მშრომელთა ინტერესებ

პოლონელი მშრომელები აღნიშნავენ ოქტომბრის 37-ე წლისთავს

ვარშავა, 29 ოქტომბერი. (საკადესი). პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მაღაროელებმა და მეტალურგებმა, ფეიქრებმა და მანქანათმშენებლებმა, სახელმწიფო სასოფლო მეურნეობათა მუშაკებმა და მშენებლებმა ფართოდ გააჩაღეს შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავის აღსანიშნავად. ასეულ ათასობით მუშა უკვე დადგა სადღესასწაულო შრომითს ვახტზე.

მეტალურგიულ ქარხანა „ბობრეკში“ ფოლადსხმელებმა სადღესასწაულო ვახტების პირველ დღეებში გეგმის გადამეტებით 325 ტონაზე მეტი ფოლადი გამოადნეს. სილეზიის 8 შახტის, მათ შორის „გენერალ ზავადსკის“, „კონკორდიის“, „ჩელადზის“, „გოტვალდის“, „მორტიმერის“ და სხვა შახტების მაღაროელებმა ვადამდე შეასრულეს ქვანახშირის ამოღების ოქტომბრის საწარმოო გეგმა, მათ იკისრეს თვის დამლევამდე დამატებით ამოიღონ ასობით ტონა ქვანახშირი.

გდანსკის გემთსაშენის კოლექტივმა ოქტომბრის დღესასწაულის აღსანიშნავად გადაწყვიტა წყალში ჩაუშვას ახალი გემი დასახულ ვადაზე 50 დღით ადრე. ი. ბ. სტალინის სახელობის ლობის კომბინატის 2 ათასამდე ფეიქარი დადგა ახლა შრომითს ვახტზე. ძერჟინსკის 22 ივლისის სახელობის საფეიქრო ფაბრიკის 1.500-ზე მეტმა მუშამ გადაწყვიტა მომავალი დღესასწაულის აღსანიშნავად დავალების გადამეტებით გამოუშვას 40 ათასი მეტრი პირველი ხარისხის ქსოვილი.

ვარშავის სამრეწველო საწარმოთა ათასობით მუშა დადგა სადღესასწაულო ვახტზე. პოლონეთში პირველი თბოელექტროცენტრალის „ეკრანის“ მშენებლებმა დაიწყეს პირველი ტურბინაგენერატის მოწყობილობისა და მანქანების გამოცდა. უახლოეს დროში თბოელექტროცენტრალი მწყობრში ჩადგება.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავის აღსანიშნავ შრომითს შეჯიბრებაში მიღწეულ წარმატებათა შესახებ იუწყებიან ოგრეთვე კრაკოვის მელიორაციელები, პოლონეთის მთელი რიგი სახელმწიფო მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ტრაქტორისტები, ბევრი სამრეწველო საწარმოსა და მშენებლობის მუშები.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ნერუ ჩინეთში

პეკინი, 29 ოქტომბერი. (საკადესი). როგორც სინხუას საააგენტო იუწყება, სამშობლოში მიმავალმა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ და მისმა თანმხლებმა პირებმა ნანკინსა და შანხაიში გაიარეს. ნანკინში ნერუმ ნახა და გვირგვინით შეამკო სუნ იატ-სენის მავზოლუუმი. ნერუ შანხაიში გაეცნო ქალაქის ღირსშესანიშნაობებს. 27 ოქტომბერს საღამოს შანხაის მერის მოადგილემ დარბაზობა გამართა პრემიერ-მინისტრ ნერუს პატივსაცემად.

28 ოქტომბერს დილით ნერუმ და მისმა თანმხლებმა პირებმა დაათვალიერეს სუნ იატ-სენის ყოფილი რეზიდენცია, ოგრეთვე შანხაის მთელი რიგი სასწავლებლები. იმავე დღეს საღამოს ნერუ მატარებლით გაემგზავრა ხანჯოუს.

დასავლეთ გერმანიის მშრომელები იბრძვიან თავიანთი უფლებებისათვის

ბერლინი, 30 ოქტომბერი. (საკადესი). დასავლეთ გერმანიის მრეწველობის ბევრი დარგის მუშა-მოსამსახურენი მოითხოვენ ხელფასის გადიდებასა და შრომის პირობების გაუმჯობესებას, იბრძვიან მშრომელთა უფლებებზე მეწარმეთა ხელყოფის წინააღმდეგ.

ჩრდილოეთ ბავარიის 20.000 ფეიქარი ამჟამად ბრძოლას ეწევა ხელფასის 10 პროცენტით გადიდებისათვის, შრომის ანაზღაურებაში ქალებისა და ახალგაზრდების დისკრიმინაციის წინააღმდეგ. ხელფასის გადიდებისათვის იბრძვიან ოგრეთვე მიუნხენ-გლადბახის, ჰელზენ-კირხენის, რაინდტის საფეიქრო მრეწველობის მუშები, რეკლინგჰაუზენის ქიმიური მრეწველობის მუშები, შტუტგარტის კომუნალურ დაწესებულებათა, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშა-მოსამსახურეები და სხვ.

იბრძვიან რა თავიანთი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, დასავლეთ გერმანიის მშრომელები ამავე დროს აძლიერებენ ბრძოლას გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებისა და ახალი ვერმახტის შექმნის წინააღმდეგ. ამას მოწმობენ პროფკავშირული კრებები და კონფერენციები, რომლებიც ამ დღეებში ყველგან ეწყობა დასავლეთ გერმანიაში და რომელთა მონაწილენი იწონებენ დასავლეთ გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების მესამე კონგრესის გადაწყვეტილებებს, მიმართულს დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ.

ამერიკის სამხედრო ხროვა ახალ პროვოკაციებს ამზადებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ

პეკინი, 30 ოქტომბერი. (საკადესი). სინხუას საააგენტოს მოჰყავს ვაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ ცნობა ამერიკის მე-7 ფლოტის სარდალ პრაიდის განცხადების შესახებ. განცხადებაში ნათქვამია, რომ მეშვიდე ფლოტის თვითმფრინავებს „ყველა კანონიერი უფლება აქვთ“ იყონ კუნძულ დაჩენის რაიონში ჯეძეანის პროვინციის სანაპიროსთან. პრაიდმა აგრეთვე თქვა, რომ მეშვიდე ფლოტმა თავისი მოქმედება გაავრცელა ტაივანის სრუტიდან ჩინეთის სანაპიროს გაყოლებით მდებარე კუნძულებამდე.

ტაივანზე ყოფნისას პრაიდს მთელი რიგი საიდუმლო თათბირები ჰქონდა ჩანკაიშელთა ფლოტის სარდალ ლიან ში-ჩაოსთან და სხვა გომინდანელ მაღალი თანამდებობის პირთან, ოგრეთვე ტაივანზე ამერიკის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებთან. როგორც ფიქრობენ, პრაიდი ამ თათბირებზე განიხილავდა ტაივანის სრუტეში ამერიკისა და ჩანკაიშელთა ფლოტების მოქმედების საკითხს.

ადენაუერი ვაშინგტონში

ვაშინგტონი, 29 ოქტომბერი. (საკადესი). გუშინ მას შემდეგ, რაც დასავლეთ გერმანიის კანცლერი ადენაუერი ეთათბირა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ეიზენჰაუერს, გამოქვეყნდა მათი ერთობლივი განცხადება, რომელიც იწონებს ლონდონსა და პარიზში მიღებულ სეპარატულ გადაწყვეტილებებს დასავლეთ გერმანიის შეიარაღებისა და ეგრეთწოდებულ დასავლეთის „თავდაცვის სისტემაში“ მისი შეყვანის შესახებ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის IX სესია

სოციალურ, ჰუმანიტარულ და კულტურულ საკითხთა კომიტეტში

ნიუ-იორკი, 29 ოქტომბერი. (საკადესი). სოციალურ, ჰუმანიტარულ და კულტურულ საკითხთა კომიტეტი შეუდგა ისეთი საერთაშორისო პაქტების პროექტების განხილვას, რომელთაგან არის პაქტი ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და პაქტი ეკონომიური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ. ასეთი სათაურით ცნობილია ადამიანის უფლებათა საკითხზე ორი საერთაშორისო ხელშეკრულების პროექტები, რომლებიც მოამზადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიამ. ხელშეკრულებები ეხება იმ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა მიიღონ პაქტების მომავალმა მონაწილე სახელმწიფოებმა, რათა უზრუნველყონ ადამიანთა ძირითადი უფლებები, ისეთი უფლებები, როგორიც არის შრომის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის უფლებები, სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის უფლება, მამაკაცისა და ქალის უფლებათა თანასწორობის აღიარება, ყველა სახეობის დისკრიმინაციის აკრძალვა და სხვ. კომიტეტმა გადაწყვიტა ამ სესიაზე მოაწყოს საერთო დისკუსია ამ პაქტების შესახებ და შემდეგ მათი მუხლობრივი განხილვა.

კომიტეტში გამართულ საერთო დისკუსიაზე კოლონიური სახელმწიფოების წარმომადგენლებმა შეიტანეს წინადადებანი, რომ წარდგენილი პროექტებიდან ამოღებულ იქნას მთელი რიგი პროგრესული დებულებანი, ისეთი, როგორიც არის ის, რომ აღიარებულ იქნას ძირითად უფლებად ხალხთა და ერთა თვითგამორკვევის უფლება, რომლის განუხორციელებლად წარმოუდგენელია სხვა პოლიტიკური, სამოქალაქო და სოციალური უფლებებით სარგებლობა. მათ აგრეთვე გაიღაშქრეს იმის წინააღმდეგ, რომ პაქტებში შეიტანონ დებულებანი, რომელთა თანახმად სახელმწიფოებმა კანონით უნდა აკრძალონ რასობრივი და ეროვნული დისკრიმინაცია. კოლონიური სახელმწიფოების წარმომადგენლებმა შეიტანეს მთელი რიგი შენიშვნები, რომელთა მიზანია გამორიცხულ იქნას ადამიანის უფლებების შესახებ პაქტების დებულებათა გამოყენება კოლონიების ხალხთა მიმართ.

კოლონიური სახელმწიფოების წარმომადგენელთა ასეთი წინადადებების წინააღმდეგ, რომელთა მიზანია პაქტების გაუარესება, გამოდიან სუსტად განვითარებული ქვეყნების წარმომადგენლები.

მაგალითად, საუდის არაბეთის წარმომადგენელმა ბარუდიმ თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭირო პაქტებში შენარჩუნებულ იქნას პროგრესული დებულებანი, კერძოდ, მუხლი ხალხთა და ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ, და აღნიშნა, რომ „არსად ისე არ არღვევენ ადამიანის უფლებებს, როგორც კოლონიათა ტერიტორიებზე“. ბარუდიმ აღნიშნა, რომ ეს დებულებანი შეესაბამებიან ალეირის, ტუნისის, მაროკოსა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების იმ ხალხთა მისწრაფებებს, რომლებიც იბრძვიან თავიანთი დამოუკიდებლობისთვის.

ავღანეთის დელეგატმა პეჟვაკმა განაცხადა, რომ პაქტის ძირითადი დებულებები მინიმალურია და მიღებულ უნდა იქნას იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას თუნდაც ელემენტარული ადამიანური უფლებები მთელი რიგი ქვეყნების იმ მილიონობით ადამიანებისა, რომლებსაც აქამდე არავითარი უფლება არა აქვთ. შეეხო რა კოლონიური ქვეყნების წარმომადგენელთა გამოსვლებს, პეჟვაკმა მათ უწოდა „უადგილო“ გამოსვლები, რომლებიც მოწმობენ იმას, რომ ზოგიერთი დელეგაცია „ჯიუტად აცხადებს, რომ არ სურს შეასრულოს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილება“ ადამიანის უფლებათა საკითხზე. თავისი სიტყვის მნიშვნელოვან ნაწილში ავღანეთის წარმომადგენელმა ისევე, როგორც სუდის არაბეთის წარმომადგენელმა, ილაპარაკა რელიგიის თავისუფლების საკითხზე და იმაზე, რომ საჭიროა შეწყდეს ყოველგვარი მისიონერების საქმიანობა მუსლიმანთა ქვეყნებში.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. ფომინმა აღნიშნა, რომ თუ გავითვალისწინებთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებს, პაქტების პროექტები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ ძირითად მოთხოვნებს: პაქტები ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ უზრუნველყოფდეს ადამიანის უფლებათა პატივისცემას, რასის, ეროვნების, ენისა და სქესის განურჩევლად, დემოკრატიის, სახელმწიფო სუვერენიტეტისა და სახელმწიფოთა პოლიტიკური დამოუკიდებლობის პრინციპების შესაბამისად. პაქტების პროექტები არა მარტო უნდა აცხადებდნენ ადამიანის უფლებებს, არამედ უნდა შეიცავდნენ სახელმწიფოთა კონკრეტულ ვალდებულებებს, რათა უზრუნველყონ მათი განხორციელება თვითეული ქვეყნის ეკონომიურ, სოციალურ და ეროვნულ თავისებურებათა გათვალისწინებით.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა მუხლს ხალხთა და ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ, რომელიც მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიამ ადამიანის უფლებათა შესახებ სსრ კავშირის დელეგაციის წინადადებით, ოგრეთვე მხარი დაუჭირა იმას, რომ პაქტების პროექტებში შენარჩუნებულ იქნას მუხლი იმის შესახებ, რომ მისი დებულებები აუცილებლად გავრცელდეს არათვითმმართველ, მეურვეობაში მყოფ, კოლონიურ ტერიტორიებზე, შეუზღუდავად და გამოუკლებლივ.

საბჭოთა დელეგატმა მხარი დაუჭირა იმას, რომ მიღებულ იქნას პროექტების მთელი რიგი სხვა პროგრესული დებულებანი.

დასასრულ, სსრ კავშირის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სსრ კავშირის დელეგაცია მზად არის განხილვის საფუძვლად მიიღოს პაქტების პროექტები ადამიანის უფლებათა შესახებ, რადგანაც ისინი შეიცავენ მთელ რიგ პროგრესულ დებულებებს.

ამ პაქტებს მხარი დაუჭირეს ვენესუელის, კოსტა-რიკის და ბირმის წარმომადგენლებმა. კომიტეტი განაგრძობს ამ საკითხის განხილვას.

29 ოქტომბრის პლენარული სხდომა

ნიუ-იორკი, 29 ოქტომბერი. (საკადესი). გუშინ გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ლიბერიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა უილიამ ტაბმენმა.

შემდეგ ასამბლეის პლენუმმა მოისმინა სპეციალური პოლიტიკური კომიტეტის მოხსენება და დაამტკიცა ამ კომიტეტის რეზოლუცია საკითხზე — „ბირმის კავშირის სარავარი ჩინეთის რესპუბლიკის მთავრობის მხრივ (გომინდანელთა ბანდების მხრივ. — **red.**) მის წინააღმდეგ აგრესიული მოქმედების გამო“. რეზოლუცია სინანულს გამოთქვამს, რომ „დიდძალი იარაღით აღჭურვილი უცხოელთა მნიშვნელოვანი ძალები ჯერ კიდევ რჩებიან ბირმის კავშირის ტერიტორიაზე და ყურს არ ათხოვებენ გენერალური ასამბლეის განცხადებას, რომლის თანახმად მათ ან უნდა დატოვონ ტერიტორია, ან დათანხმდნენ ინტერნირებაზე“. რეზოლუციაში ერთხელ კიდევ აღნიშნულია, რომ ეს ძალები უნდა დათანხმდნენ განიარაღებასა და ინტერნირებაზე. რეზოლუცია პირობას აძლევს ბირმის კავშირის მთავრობას, რომ მხარს დაუჭერს მის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია საბოლოოდ გადაიჭრას ეს სერიოზული საკითხი და „დაბეჯითებით სთხოვს ყველა სახელმწიფოს განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიებანი რაიმე ისეთი დახმარების თავიდან ასაცილებლად, რომელიც უცხოელთა ძალებს საშუალებას მისცემდა დარჩენილიყვნენ ბირმის კავშირის ტერიტორიაზე ან განეგრძოთ მტრული მოქმედება ბირმის კავშირის წინააღმდეგ“.

რეზოლუცია სხდომამ ერთხმად მიიღო; გომინდანელს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია.

გენერალურმა ასამბლეამ ამავე სხდომაზე განუხილველად დაამტკიცა მეხუთე კომიტეტის რეზოლუციები ადმინისტრაციული და საბიუჯეტო საკითხების შესახებ.

დაუყოვნებლივ დაიწყოს ოთხი სახელმწიფოს მოლაპარაკება გერმანიის საკითხზე!

ინგლისური ყოველკვირეული ორგანო საბჭოთა ნოტის შესახებ

ლონდონი, 29 ოქტომბერი. (საკადესი). ლიბერალისტული ყოველკვირეული ორგანო „ტრიბუნი“ მოუწოდებს ლიბერალისტულ პარტიას დაიწყოს კამპანია იმისათვის, რომ მიიღონ საბჭოთა წინადადებანი ოთხი სახელმწიფოს მოლაპარაკების შესახებ გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად. „ტრიბუნი“ აცხადებს, რომ პარლამენტის წევრმა ლიბერალისტებმა ხმა უნდა მისცენ დასავლეთ გერმანიის შეიარაღების შესახებ იმ შეთანხმებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ, რომლებიც ხელმოწერილია ამას წინათ პარიზში.

„ინგლისის მთავრობას, — წერს ავტორი, — სურს დააჩქაროს რატიფიკაცია მანამდე, სანამ ოთხი სახელმწიფოს თათბირი გაიმართებოდეს. იგივე სურს ამერიკის მთავრობასაც. თუ მათ ეს მოახერხეს, რუსებთან შეთანხმების მიღწევა გაცილებით უფრო ძნელი ამოცანა გახდება. სკარბოროში ლეიბორისტი დელეგატებისათვის რომ ეთქვათ, გერმანიის შეიარაღების ფასი ევროპაში ინგლისის ახალი ვალდებულებანი, წელიწადში საბიუჯეტო ხარჯების 150 მილიონი გირვანქა სტერლინგით და უფრო მეტად გადიდება და სამხედრო ბეჭრის საფუძველზე ორი წლის სამსახურის შენარჩუნება იქნებოო, უეჭველია, დელეგატთა დიდი უმრავლესობა გერმანიის შეიარაღების წინადადების წინააღმდეგ მისცემდა ხმას.

ახლა ითხოვენ, რომ ჩვენ მხარი დავუჭიროთ ამ გეგმას სწორედ იმ მომენტში, როცა რუსები ახალი მოლაპარაკების დაწყებას მოითხოვენ. ლეიბორისტებმა უნდა იბრძოლონ „იდეინის გეგმის“ წინააღმდეგ და მხარი დაუჭიროთ იმ ძალებს საფრანგეთში, რომლებიც მოითხოვენ ოთხი სახელმწიფოს ახალი თათბირის მოწვევას მანამდე, სანამ პარიზის ხელშეკრულებას დამტკიცებდნენ“.

საგაფიცვო მოძრაობა ინგლისში

ლონდონი, 29 ოქტომბერი. (საკადესი). მთელი თვეა გაფიცული არიან ინგლისის რვა უდიდესი ნავსადგურის — ლონდონის, ლივერპულის, ბერკენჰედის, გულის, საუტჰემპტონის, მანჩესტერის, გარსტონისა და როჩესტერის ნავსადგურების გემშემკეთებელი ვერფების დოკერები და მუშები. ამ ნავსადგურების დოკებსა და გემშემკეთებელ ვერფებში უქმად დგას 446 გემი. რეიტერის საააგენტო იუწყება, რომ გუშინ და დღეს ლონდონში, ლივერპულში, მანჩესტერსა და სხვა ნავსადგურებში გაფიცულებს შეუერთდა კიდევ რამდენიმე ასეული დოკერი.

გაფიცულებს მხარს უჭერენ ინგლისის მშრომელები. გაფიცულები იღებენ მრავალ წერილს, სურსათის ამანათებსა და ფულად დახმარებას. პროფკავშირთა მემარჯვენე ლიდერები ცდილობდნენ გაეთიშათ გაფიცულთა რიგები, მაგრამ ეს ცდები მარცხით დამთავრდა.

დარწმუნდნენ რა გაფიცულთა დარაზმულობასა და სიმტკიცეში, მეწარმენი მოლაპარაკებაზე დათანხმდნენ. როგორც რეიტერის საააგენტო იუწყება, გუშინ საღამოს ლონდონის ნავსადგურის მეწარმეებმა გაფიცულებს მისცეს „სამშვიდობო წინადადება“. ისინი ძირითადად დათანხმდნენ მუშათა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, მათ შორის „მაზე, რომ გააუქმონ იძულებითი ზედმეტი სამუშაოები. გაფიცულებმა აგრეთვე მოითხოვეს, რომ გაფიცვის დამთავრების შემდეგ. არავითარი რეპრესიული ღონისძიებანი არ მიიღონ გაფიცვის მონაწილეთა წინააღმდეგ და რომ ის პირობები, რომლებშიაც ისინი დათანხმდებიან განაახლონ მუშაობა, გავრცელდეს ინგლისის ნავსადგურების ყველა მუშაზე. ეს მოთხოვნა, როგორც იუწყებიან, მეწარმეებმა უარყვეს, დოკერებმა გადაწყვიტეს განაგრძონ გაფიცვა.

21 დღე ეგვიპტესა და სირიაში

სურათზე: „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდი თბილისის რკინიგზის სადგურზე.
ფოტო ვ. გინზბურგისა.

გუშინ ეგვიპტიდან და სირიიდან თბილისში დაბრუნდა საბჭოთა კავშირის 1954 წლის ჩემპიონი თბილისის „დინამოს“ კალათბურთელ ვაუთა კოლექტივი. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის კალათბურთელები ეგვიპტესა და სირიაში იმყოფებოდნენ ამ ქვეყნების კალათბურთის ფედერაციის მიწვევით. აქ მათ დაჰყვეს 21 დღე, გამართეს საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრები.

„დინამოს“ კალათბურთელებს თბილისის რკინიგზის სადგურზე გულთბილი შეხვედრა მოუწყეს, თაიგულები უძღვნეს. ჩვენს თანამშრომელთან საუბარში თბილისის „დინამოს“ გუნდის კაპიტანი სპორტის დამსახურებული ოსტატი ო. ქორქია შეეხო ეგვიპტესა და სირიაში მოგზაურობას, ამ ქვეყნებში გამართულ საერთაშორისო შეხვედრებს, მიღებულ შთაბეჭდილებებს. ვხეჭდავთ საუბრის შინაარსს.

20 საათი ჰაერში

28 სექტემბერს დილით მოსკოვის აეროდრომზე ვიყაგით. მალე მოტორები აგუგუნდა. რამდენიმე წუთის შემდეგ დედაქალაქს ზემოდან დაგაკქერდით. თვითმფრინავმა ჰელსინკისაკენ აიღო კურსი. ღამე სტოკჰოლმში გავათიეთ. დადათვალიერეთ ქალაქის ცენტრალური ნაწილი. ვნახეთ კინოსურათი.

მეორე დღეც ჰაერში დავყავით. გავიარეთ კოპენჰაგენი, მაინის ფრანკფურტი, ვენა, სტამბოლი და ღამის 2 საათზე კაიროში დავეშვით. 20 საათი ვიყავით ჰაერში. კაიროში გულთბილი შეხვედრა მოგვიწყეს — თაიგულები გვიძღვნეს, ფოტოსურათებს გვიღებდნენ, ავტოგრაფებს გვთხოვდნენ.

აეროდრომი ქალაქს ოცი კილომეტრით არის დაშორებული. ირგვლივ უდაბნოა. ნახევარი საათის შემდეგ კაიროს ცენტრში ვიყავით. მოგთავაზდით სასტუმროში.

კალათბურთი ეგვიპტეში, პირველი წვრთნა

ეგვიპტელ კალათბურთელებს არაერთხელ შეეხვედრიათ პარიზში, ჰელსინკში, პრაღასა და სხვა ქალაქებში. მათი თამაში გამოირჩევა ტემპიანი ბრძოლით, კოლექტიერული, კალათში ბურთის ჩაგდების სიზუსტით. წამყვან ეოთამაშედ ითვლება მონტასარი, რომელიც სიმაღლით 188 სანტიმეტრია. ჩვენთან შეხვედრისათვის მზადება ეგვიპტელ კალათბურთელებს დიდი ხნით ადრე დაეწყოთ. ორნახევარ თვეს შეკრებაზე იმყოფებოდნენ, გადიოდნენ სისტემატურ წვრთნას. დაკომპლექტებული იყო ორი ნაკრები გუნდი.

პირველი წვრთნა 30 სექტემბერს გავმართეთ. დილიდანვე ძლიერ ცხელოდა. ვარჯიშს სპორტის მრავალი მოყვარული დაესწრო. აქ იყვნენ მსაჯები, მწვრთნელები, ჟურნალისტები. მეორე დღეს გაზეთების ფურცლებზე გამოჩნდა პირველი პროგნოზები, მწვრთნელთა კომენტარები.



მატჩები მეორე ნაკრებთან

ეგვიპტეში სულ ხუთი შეხვედრა უნდა გაგვემართა. მათ შორის მეორე ნაკრებთან — 2, პირველ ნაკრებთან — 3. მატჩები მეორე ნაკრებთან ეგვიპტის პირველ გუნდს საშუალებას აძლევდა კარგად შეესწავლა ჩვენი თამაშის ძლიერი თუ სუსტი მხარეები, მოეხდინა სპორტული დაზვერვა. შეჯიბრება დანიშნული იყო 1 ოქტომბრისათვის ალექსანდრიაში.

კაიროდან ალექსანდრიამდე 240 კილომეტრი მანქანით გავიარეთ. იმავე დღეს თამაში ადგილი რდი იყო. მოგვიყვანეს სასპორტო ბაზაზე, რომელსაც აქვს საცურავი აუზი, ფეხბურთის მოედნები, სარბენი ბილიკები, მძლეოსნური სექტორები, სასპორტო დარბაზი 6.000 მაყურებლისათვის.

ბილეთები დიდი ხნით ადრე იყო გაყიდული. დარბაზი სავსე იყო მაყურებლებით. ჩვენმა თამაშმა საერთო მოწონება დაიმსახურა. ინიციატივა თავიდანვე ხელთ ვიგდეთ. მოგიგეთ შეჯიბრება ანგარიშით 62:34. 3 ოქტომბერს ეთამაშობდით კაიროში იმავე გუნდთან ღია მოედანზე. კიდევ ერთი გამარჯვება. მოგიგეთ მატჩი 57:37. ორივე შეჯიბრებაზე მეორე ტაიმში გამოვიყვანეთ ახალგაზრდა კალათბურთელები (მეორე შემადგენლობა), რომლებმაც კარგი თამაშით განამტკიცეს მოპოვებული წარმატება. გაზეთებმა მაღალი შეფასება მისცეს თბილისის „დინამოს“ თამაშს.

კიდევ სამი გამარჯვება

ეგვიპტელები იმედს პირველ ნაკრებზე ამყარებდნენ. ინტერესი ამ მატჩებისადმი დიდი იყო. 5 ოქტომბერს ალექსანდრიაში ვიყავით. შეჯიბრების დაწყებამდე ჩვენი გუნდისა და ეგვიპტის პირველი ნაკრების კალათბურთელებს მიეხალმა ეგვიპტის რესპუბლიკის პრეზიდენტი გენერალი ნაგიბი. ძირითად შემადგენლობაში ჩემთან ერთად იყვნენ ჯორჯიკია, ულენტი, ინწკარველი და აბაშიძე. 4 ბურთი ზედიზედ ეგვიპტელთა კალათში აღმოჩნდა. ასე დაიწყო ეს მატჩი. კვლავ ჩვენი იერიშები. მაყურებლები ხშირად ოვაციას გვიმართავდნენ. გავიმარჯვეთ ანგარიშით 67:46.

გაზეთების ფურცლები სავსე იყო კომენტარებით. გვაქებდნენ.

ორი დღის შემდეგ კვლავ პირველ ნაკრებს შევხვედით კაიროში. მოვიგეთ ეს მატჩი ანგარიშით 59:43 და 9 ოქტომბერს პორტსაიდში გავემგზავრეთ. აქ დავთვალიერეთ ნავსადგური, სუეცის არხის ახლო მიდამოები. კატერზე, რომლითაც ვმოგზაურობდით, საბჭოთა დროშა ფრიალებდა. სანაპიროდან, გემთა ქარავნებიდან გულთბილი შეძახილებით გვხვდებოდნენ მეზღვაურები, მშრომელები. ჩვენმა გუნდმა პორტ-საიდში გვიგრავინთ შეამკო რუს მეზღვაურთა საფლავი.

უკანასკნელი მატჩი მეტად დაძაბული აღმოჩნდა. პირველი ტაიმის დასაწყისში თამაში ეგვიპტელებს მიჰყავდათ 6 ქულის განსხვავებით. საჭირო გახდა კილაძის შემოყვანა. იგი ბურთის შორიდან ზუსტი სროლის ოსტატია. მას თითქმის ყოველთვის სიახლე და ტემპი შეაქვს სასპორტო ბრძოლაში. თამაშში გარდატეხა შეიტანეთ. მოვიგეთ უკანასკნელი შეჯიბრება ეგვიპტეში 63:51.

ამრიგად, ეგვიპტეში ხუთი შეხვედრიდან ხუთივე მოვიგეთ ანგარიშით 308:211.

12 ოქტომბერს სსრ კავშირის ელჩმა ეგვიპტეში დ. სოლოდმა დარბაზობა გამართა. საბჭოთა და ეგვიპტელმა კალათბურთელებმა ერთმანეთს საჩუქრები უძღვნეს. საბჭოთა კალათბურთელების თამაშმა, — თქვა ეგვიპტის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მოადგილემ ვაჰბიმ, — დიდი სარგებლობა მოუტანა ეგვიპტელ სპორტსმენებს. ეს შეხვედრები ხელს შეუწყობს სპორტული ურთიერთობის განმტკიცებას ამ ორ ქვეყანას შორის.

სტუმრად სირიაში

14 ოქტომბერს კაიროდ დავბრუნდით. იმავე დღეს ქ. დამასკოში (სირია) ვიყავით. აქ შევხვდით სამ გუნდს — „ალ-ფიტიანისა“ და „აგლის“ კლუბებს, ოგრეთვე სირიის ნაკრებ გუნდს. როგორც ცნობილია, თბილისის „დინამომ“ სამივე მატჩი მოიგო ანგარიშით 74:42, 92:40, 93:42. ყურადღებას იპყრობს სირიის კალათბურთელთა ტემპიანი თამაში. ისინი ბურთს კარგად ესვრიან შორიდან, მაგრამ ფართან სუსტად იბრძვიან, არა ჰყავთ მაღალი ტანის სპორტსმენები.

ჩვენმა გუნდმა საერთო სიყვარული დაიმსახურა ლამაზი თამაშით, დისციპლინით.

სამშობლოში დაბრუნება

21 ოქტომბერს სამშობლოში გამოვემგზავრეთ. საერთაშორისო შეხვედრები ეგვიპტესა და სირიაში ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა. 8 მატჩიდან რვავე მოვიგეთ საერთო ანგარიშით 567:335. ჰელსინკში შევხვედით მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდს, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს ლატეშევს, რადიოკომენტატორს ოზეროვს. მოგვილოცეს გამარჯვება. ჩვენ მათ წარმატება ვუსურვეთ ბელგიისა და ინგლისის ფეხბურთელებთან საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრებში.

მშობლიურ დედაქალაქში აღტაცებით შეგვხვდნენ, მადლობა გადავიხადეს საბჭოთა სპორტის ღირსების წარმატებით დაცვისათვის, კოლექტიურობისათვის, შესანიშნავი დისციპლინისათვის და გულთბილად გამოგვაცილეს თბილისში.

ამინდი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 1 და 2 ნოემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა. 1 ნოემბერს ალაგ-ალაგ წვიმა, 2 ნოემბერს სუსტი ქარი. უნალექოდ. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 9-14, დღისით 21-26 გრადუსი სითბოთ; მთიან რაიონებში ღამით 3-8, დღისით 14-19 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ წვიმა, სუსტი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 7-12, დღისით 19-24 გრადუსი სითბოთ; მთიან რაიონებში ღამით 3-8, დღისით 13-18 გრადუსი სითბო.

საერთაშორისო საჰადრაკო ტურნირი ბელგრადში

ბელგრადი, 29 ოქტომბერი. (საკადესი). გუშინ ბელგრადის საერთაშორისო საჰადრაკო ტურნირზე გაიმართა მეშვიდე ტური. ტურნირის ლიდერი გროსმაისტერი პეტროსიანი შეხვდა იუგოსლავიის ოსტატ ნედელკოვიჩს. თამაში მწვავე ბრძოლით მიმდინარეობდა და ყაიმით დამთავრდა. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე მატანოვიჩ-გლიგორიჩის (ორივე — იუგოსლავია), პირც (იუგოსლავია) — პილნიკის (არგენტინა), მილიჩ-რაბპარის (ორივე — იუგოსლავია) და იოპენ (დასავლეთი გერმანია) — ტრიფუნოვიჩის (იუგოსლავია) პარტიები.

რთული ბრძოლის შემდეგ ყაიმზე შეთანხმდნენ ბრონშტეინი და ჩერნიაკი (ისრაელი). ყაიმით დამთავრდა აგრეთვე ივკოვ (იუგოსლავია) — პორეკის (იტალია) პარტია. ტურის ერთად ერთი შედეგიანი პარტია იყო იანშეევჩისა და ჯურაშევიჩის (ორივე — იუგოსლავია) შეხვედრა, რომელიც თეორების გამარჯვებით დამთავრდა. ბარეა (უნგრეთი) — კარაკლაიჩის (იუგოსლავია) პარტია ყაიმით დამთავრდა.

გუშინ გაიმართა მეექვსე ტურის დაუმთავრებელი პარტიების გათამაშება. ტრიფუნოვიჩმა მოუგო მატანოვიჩს, ჩერნიაკმა — ივკოვს.

რედაქტორის მოადგილე
რ. ძურაციკიძე.

დღეს თბილისის თეატრებსა და კინოებში

რუსთაველის სახელობის — დონ სეზარ დე ბაზანი (დილა-საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — ლეგენდა სიყვარულზე, **გრიბოედოვის სახელობის** — ნურას უკაცრავად (დილას), ერთი სიყვარულის ისტორია (საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — ტრემბიტა (დილას), არშინ მალ-ალან (საღამოს), **სომხური დრამის** — მშობლიური ქვეყანა (დილას), ტაჯატ ამაზასპიჩი ღელავს (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — წითელ-ქუდა (აბონემენტი № 1, 12 ს.), მაშენკა (აბონემენ